

საქმეზე „კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია), შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ჟ.პ. კოსტა, პრეზიდენტი,

ბ-ნი ვ. ფურმანი,

ბ-ნი ლ. ლოუკაიდესი,

ბ-ნი ნიკოლას ბრატზა,

ქ-ნი პ. ს. გრივე,

ბ-ნი კ. ტრაია,

ბ-ნი, ა. კოვლერი, მოსამართლეები,

ქ-ნი სალი დოლი, სექციის რეგისტრატორი,

იმსჯელა რა განმარტებით 2001 წლის 18 სექტემბერს, 2002 წლის 24 ივნისს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს აღნიშნულ თარიღებში:

პროცედურა

1. გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ბატონი ვალერი ერმილეს ძე კალაშნიკოვის (განმცხადებელი) მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ევროპული კონვენციის (კონვენცია) 34-ე მუხლის შესაბამისად, ევროპულ სასამართლოში, 1998 წლის 1 დეკემბერს წარმართული განაცხადი (№47095/99).

2. განმცხადებელი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს, პატიმრობისა და მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობებს.

3. განაცხადი განსახილველად სასამართლოს ყოფილ მესამე სექციას გადაეცა (სასამართლოს რეგლამენტის წესი 52, §1). აღნიშნულ სექციაში პალატა, რომელსაც უნდა განეხილა საქმე (კონვენციის მუხლი 27, §1), დაკომპლექტებული იყო სასამართლოს რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად.

4. როგორც განმცხადებელმა, ასევე მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადის დაშვებადობასთან და არსებითად განხილვასთან დაკავშირებით მიმოხილვები წარადგინეს. მხარეებმა წარდგენილ მიმოხილვებზე წერილობითი შეპასუხება გააკეთეს.

5. მოსმენა საქმის დაშვებადობაზე და არსებით საკითხებზე განხორციელდა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში 2001 წლის 18 სექტემბერს (წესი 54. §4).

სასამართლოს წინაშე გამოცხადნენ

ა) სახელმწიფოს სახელით:

ბ-ნი პ. ლაპტევი, ევროპულ სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი,

ბ-ნი ი. ბერესტნევი,

ბ-ნი ს. ვოლკოვსკი,

ბ-ნი ს. რაზუმოვი,

ბ-ნი ი. კალინინი, მრჩეველები,

ბ-ნი კ. ბახტიაროვი,

ბ-ნი ო. ანკუდინოვი,

ბ-ნი ვ. ვლასინი, ექსპერტები;

ბ) განმცხადებლის სახელით:

ქ-ნი კ. მოსკალენკო, მოსკოვის საერთაშორისო დაცვის ცენტრი,
ბ-ნი ნ. სონკინი, მოსკოვის რეგიონალური ადვოკატურა, ადვოკატი,
ბ-ნი ვ. კალაშნიკოვი, განმცხადებელი.

6. სასამართლომ მოისმინა ბატონი პ. ლაპტევის, ქალბატონი კ. მოსკალენკოს და ბატონი ნ. სონკინის მიმართვები, ასევე ბატონების ვ. ვლასინის, პ. ლაპტევისა და ქალბატონი კ. მოსკალენკოს პასუხები სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე. სასამართლოს მოთხოვნით, სახელმწიფომ იმ საკნის სურათები წარმოადგინა, რომელშიც მოთავსებული იყო განმცხადებელი. მათ ასევე, წარმოადგინეს ვიდეოჩანაწერი, რომელიც ასახავდა საკანს და მიმდებარე ტერიტორიას რემონტის შემდგომ, რომელიც განხორციელდა განმცხადებლის გათავისუფლების შემდეგ.

7. 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ განაცხადი ნაწილობრივ დასაშვებად ცნო. სასამართლომ იმავდროულად გადაწყვიტა, რომ „ფაქტების დამდგენი მისიის“ მეშვეობით ადგილზე ინსპექტირება არ იყო აუცილებელი, რადგან გადაწყვეტილების მისაღებად მას ხელთ ჰქონდა საქმესთან დაკავშირებული საჭირო მასალები. კერძოდ, ის ფაქტი, რომ საკანი განმცხადებლის გათავისუფლების შემდეგ არსებითად შეიცვალა, რაც აზრს უკარგავდა ამგვარი ვიზიტის განხორციელებას, რადგან საკნის ინტერიერმა, როგორც ეს ვიდეოჩანაწერიდან და ფოტოებიდანაც ჩანს, მნიშვნელოვნად იცვალა სახე.

8. 2001 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა (წესი 25. §1), თუმცა საქმის განხილვა გააგრძელა იმავე პალატამ, რომელიც შეიქმნა ყოფილი მესამე სექციის ფარგლებში.

9. მხარეებს საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებით აღარ წარმოუდგენიათ დამატებითი მიმოხილვები.

10. 2001 წლის 28 დეკემბერს განმცხადებელმა, კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მოთხოვნები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რაზეც მთავრობამ, თავის მხრივ, კომენტარები წარმოადგინა.

შაქტუბო

I. საქმის ძირითადი ბარემოვნები

11. განმცხადებელი დაბადებულია 1955 წელს და ცხოვრობს მოსკოვში. დაკავების მომენტში იგი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ კომერციული ბანკის (Северо – Восточный Акционерный Банк) პრეზიდენტი.

12. 1995 წლის 8 თებერვალს განმცხადებლის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე (დეტალები მოცემულია ქვევით ქვესათაურ ბ-ში). განმცხადებელი 1995 წლის 29 ივნისს დააპატიმრეს. 1999 წლის 3 აგვისტოს სხვისი კუთვნილი ქონების უკანონოდ მითვისების ბრალდებით იგი მსჯავრდებულ იქნა მაგადანის საქალაქო სასამართლოს მიერ (Магаданский городской суд). სასჯელის სახით განმცხადებელს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა.

ა. პატიმრობის პირობები

13. 1995 წლის 29 ივნისიდან 1999 წლის 20 ოქტომბრამდე განმცხადებელი დაკავებული იყო ქალაქ მაგადანის ნომერ პირველ საგამოძიებო იზოლატორში (СИЗО-1). 1999 წლის 3 აგვისტოს მაგადანის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი 1999 წლის 20 ოქტომბერს, სასჯელის მოსახდელად, გააგზავნეს საპატიმრო სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში, სოფელ ტალაიაში (დაწესებულება № AV-261/3). 1999 წლის 9 დეკემბერს კი - დააბრუნეს მაგადანის წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში, სადაც გათავისუფლებამდე, 2000 წლის 26 ივნისამდე იმყოფებოდა.

1) განმცხადებლის მიერ მოწოდებული ფაქტები

14. რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობის პირველ პერიოდს, მაგადანის წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში, მისი განცხადებით, იგი იმყოფებოდა საკანში, რომლის საერთო ფართობი შეადგენდა 17 კვადრატულ მეტრს და რომელშიც განთავსებული იყო 8 ნარი. მიუხედავად ამისა, საკანში თითქმის ყოველთვის იმყოფებოდა 24 პატიმარი, რომელთა 18-მდე შემცირება მხოლოდ რამდენჯერმე მოხდა. ისინი იძულებულნი იყვნენ ეძინათ მორიგეობით, რადგან ერთ საწოლზე სამი პატიმარი მოდიოდა, სხვები იწვნენ, ან ისხდნენ იატაკზე და ელოდნენ მათ ჯერს. საკანში ძილი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, იმის გამო, რომ ტელევიზორი ჩართული იყო დღე-ღამის განმავლობაში და მთელი დღე საკანში ინტენსიური მოძრაობა იყო. საკნის განათება მუდმივად იყო ჩართული.

15. საკნის კუთხეში განთავსებული საპირფარეშო განცალკევების შესაძლებლობას არ იძლეოდა. მცირე ზომის გამყოფი კედელი საპირფარეშოს ყოფდა ხელსაბანისაგან, მაგრამ არა საკნის დანარჩენი საცხოვრებელი ფართიდან და სასადილო მაგიდიდან. საპირფარეშო განთავსებული იყო იატაკიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე, მაშინ, როცა გამყოფი კედლის სიმაღლე 1.1 მეტრი იყო. შესაბამისად, პატიმარი ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა სხვა პატიმრების და ციხის ზედამხედველის თვალწინ, რომელიც საკანს კარის საზედამხებელო ხვრელიდან ადევნებდა თვალყურს. პატიმრები საკვებს მიირთმევდნენ სასადილო მაგიდაზე, რომელიც საკნის საპირფარეშოდან მხოლოდ ერთი მეტრით იყო დაშორებული. საკვები ცუდი ხარისხის იყო.

16. საკანი, რომელიც არ ნიავედებოდა, ზაფხულის განმავლობაში იყო აუტანლად ცხელი, ხოლო ზამთარში ცივი. საკანში არსებული ცუდი ჰაერის გამო პატიმრები იძულებულნი იყვნენ საკნის ფანჯარა მუდმივად ღია ჰქონოდათ. მწვევლების გარემოცვაში განმცხადებელი იძულებული იყო გამხდარიყო პასიური მწვეელი. იგი აცხადებს, რომ მისთვის არასოდეს მიუციათ ნორმალური თეთრეული და სასადილო ნივთები, რომელსაც იგი ხშირად საკუთარი თანამესაკნეებისაგან თხოულობდა.

17. საკანი სავსე იყო ტარაკნებითა და ჭიანჭველებით, რომელთა გასანადგურებლადც არავითარი ზომები არ მიუღიათ. ერთადერთი სადესინფექციო სშუალება იყო ერთი ლიტრი ქლორბანის წყალი, რომელიც პატიმრებს კვირაში ერთხელ ტუალეტის დესინფექციისათვის ეძლეოდათ.

18. განმცხადებელი დაავადდა კანისა და სოკოვანი დაავადებებით, რის შედეგადაც დაკარგა ზედა და ქვედა კიდურების ფრჩხილების ნაწილი. 1996 წლის 11 ნოემბრიდან 1997 წლის 23 აპრილამდე და 1999 წლის 15 აპრილიდან 1999 წლის 3 აგვისტოს პერიოდებში სასამართლო მოსმენები შენერდა, რათა განმცხადებელს მისცემოდა მუცლის მკურნალობის შესაძლებლობა.

ექვს შემთხვევაში განმცხადებლის საკანში სხვა პატიმრები მოათავსეს, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ სეფსისითა და ტუბერკულოზით. აღნიშნულ პერიოდში განმცხადებელს უკეთებდნენ პროფილაქტიკურ ანტიბიოტიკურ აცრებს.

19. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იგი გასასყიდებლად დღეში მხოლოდ ერთი საათით გაჰყავდათ სუფთა ჰაერზე და ცხელი დუშის მიღება თვეში მხოლოდ ორჯერ შეეძლო.

20. ბოლოს, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 1999 წლის 9 დეკემბერს მისი წინასწარ საპატიმრო დაწესებულებაში დაბრუნების შემდეგ პატიმრობის პირობები არ შეცვლილა. მისთვის არ მიუციათ სათანადო თეთრეული, პირსახოცები და სამზარეულო ინვენტარი. მას კანის დაავადებებზე წამლის უკმარისობის გამო არ უმკურნალებს. მისი საკანი კვლავ სავსე იყო ტარაკებით. ბოლო სადუზინფექციო სამუშაოები განხორციელდა 5 წლის წინ. თუმცა 2000 წლის მარტსა და აპრილში განმცხადებლის თანამოსაკნეების რიცხვი, მის 8-კაციან საკანში შემცირდა 11 პატიმრამდე.

2) მთავრობის პოზიცია ფაქტებთან დაკავშირებით

21. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა 20.8 კვადრატული მეტრის მოცულობის საკანში. მას ჰქონდა საკუთარი საწოლი, თეთრეული, სამზარეულო ინვენტარი და სამედიცინო მომსახურება. საკანი განკუთვნილი იყო 8 პატიმრისათვის. საერთო გადატვირთულობიდან გამომდინარე, საკანში არსებულ ერთ საწოლს 2-3 პატიმარი 8-საათიანი ინტერვალით იყენებდა. განმცხადებლის საკანში, როგორც წესი, იმყოფებოდა 11, ან მეტი პატიმარი. ხშირად მათი რაოდენობა 14-ს შეადგენდა. ყველა პატიმარს ეძლეოდა საბანი, ლეიბი და თეთრეული.

22. განმცხადებელთა საკანში იყო სველი წერტილი – საპირფარეშო და ხელსაბანი. საკნის კუთხეში განთავსებული საპირფარეშო საკნის დანარჩენი ნაწილისაგან იზოლირებული იყო 1.1-მეტრიანი გამყოფი კედლით. აღნიშნული სტანდარტები დადგენილი იყო 1971 წლის 25 იანვარს სსსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული „წინასწარ საპატიმრო დაწესებულებათა მშენებლობის მარეგულირებელი დირექტივით“. მთავრობამ წარმოადგინა იმ საკნის ფოტოები, რომელშიც მოთავსებული იყო განმცხადებელი. ბ-ნი კალაშნიკოვი აცხადებდა, რომ ფოტოები გადაღებული იყო მას შემდეგ, რაც საკანში მცირედი რემონტი გაკეთდა. მთავრობამ ასევე წარმოადგინა ვიდეოფირი, რომელზეც ასახული იყო განმცხადებლის საკანი რემონტის შემდეგ.

23. საკანს ჰქონდა ფანჯრები, საიდანაც დღის სინათლე და სუფთა ჰაერი საკმარისად შემოდებოდა. საკანის ხელოვნური სავენტილაციო სისტემით აღჭურვის შესაძლებლობა არ არსებობდა. ცხელ ამინდში სუფთა ჰაერის თავსუფალი მიმოქცევისათვის შესაძლებელი იყო საკნის ფანჯრის გაღება. პატიმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეყენებინათ მათი ნათესავების მიერ მოწოდებული ელექტრო ვენტილატორები.

24. საკანში იყო განმცხადებლის კუთვნილი ტელევიზორი, რომლის ჩართვა-გამორთვასაც თვითონ აკონტროლებდა. რეგიონში გარკვეული ტელეპროგრამები გადაიცემოდა მხოლოდ დღის განსაზღვრულ მონაკვეთში.

25. 1998 წლის 11 თებერვალს განმცხადებლის ერთ-ერთ თანამოსაკნეს დაუსვეს სიფილისის დიაგნოზი. ავადმყოფი პატიმარი დაუყოვნებლივ იზოლირებულ იქნა. მას ჩაუტარდა მკურნალობის შესაბამისი კურსი. სხვა პატიმრებს, განმცხადებლის ჩათვლით, 1998 წლის 26 თებერვალს პრევენციული ხასიათის მკურნალობა ჩაუტარდათ, რომელიც განახორციელა სსსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1989 წლის 17 ნოემბერს მიღებული

„წინასწარ პატიმრობაში და შრომა-გასწორებით დაწესებულებებში მყოფი პირების სამედიცინო მკურნალობის სახელმძღვანელო პრინციპების“ შესაბამისად.

1999 წლის იანვარში დაწესებულების ერთ-ერთი ფლიგელი, სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით, დროებით დაიხურა. პატიმრები შენობის სხვა ნაწილში მდებარე საკნებში მოათავსეს. ისინი, რომელთა გადაყვანაც მოხდა განმცხადებლის საკანში, იქ დარჩნენ ერთი კვირის განმავლობაში. რამდენიმე მათგანი დაავადებული იყო ტუბერკულოზით, თუმცა სამედიცინო პერსონალის აზრით, დაავადების გავრცელების საფრთხე არ არსებობდა, რადგან შესაბამის მკურნალობას გადიოდნენ.

1999 წლის 2 ივნისს, პატიმარი, რომელიც დაავადებული იყო ტუბერკულოზის მსუბუქი ფორმით, განთავსდა განმცხადებლის საკანში, სადაც იგი იმყოფებოდა ორი თვის განმავლობაში. ვინაიდან ავადმყოფი არ იყო დაავადებული ტუბერკულოზის ღია ფორმით, სხვა პატიმართა დაავადების რეალური საფრთხე არ არსებობდა.

განმცხადებელს სამედიცინო შემოწმება არაერთგზის ჩაუტარდა, რომლის შედეგადაც ტუბერკულოზის ნიშნები არ აღმოაჩნდა.

1999 წლის 15 ივნისს პატიმარი, რომელიც სიფილისის მკურნალობდა, განმცხადებლის საკანში გადმოიყვანეს. მოგვიანებით განმცხადებლის სისხლის ანალიზმა ასევე ნეგატიური პასუხი აჩვენა სიფილისზე.

26. განმცხადებელს სამედიცინო პერსონალი სისტემატურად ამოწმებდა. კერძოდ, ის იღებდა დახმარებას, დერმატოლოგის, თერაპევტისა და სტომატოლოგისაგან. როდესაც განმცხადებელს აღმოაჩნდა სხვადასხვა დაავადებები (ნეუროცირკულოზური დისტონია, მუნი და სოკოვანი დაავადებები), მან დაუყოვნებლივ მიიღო სამედიცინო მომსახურება. ბ-ნი კალაშნიკოვის მკურნალობის დროს მოხდა სასამართლო მოსმენის გადადება.

27. განმცხადებელს შეეძლო შხაპის მიღება 7 დღეში ერთხელ და გასეირნება დღეში 2 საათით.

28. ბოლოს, მთავრობამ განაცხადა, რომ ციხეში, ზემოხსენებული 1989 წელს მიღებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, სხვადასხვა ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, სისტემატურად ტარდებოდა პროფილაქტიკური სადესინფექციო სამუშაოები. თუმცა მოხდა იმის აღიარება, რომ მწერებისაგან საპატიმრო დაწესებულების გათავისუფლება პრობლემას წარმოადგენდა.

3) სამედიცინო ჩანაწერები და ექსპერტის დასკვნა

29. განმცხადებლის სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, მას ჰქონდა მუნი 1996 წლის დეკემბერში, აღერგიული დერმატიტი - 1997 წლის ივლისსა და აგვისტოში, ფეხის სოკოვანი დაავადება - 1999 წლის ივლისში, ხელის ფრჩხილის სოკოვანი დაავადება - 1999 წლის აგვისტოში, მიკოზისი - 1999 წლის სექტემბერში, ხოლო ქვედა და ზედა კიდურებისა და საზარდულის სოკოვანი დაავადება 1999 წლის ოქტომბერში. მოხსენებაში ასევე მითითებულია, რომ განმცხადებელმა მიიღო შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა.

30. 1999 წლის ივლისით დათარიღებულ სამედიცინო დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ განმცხადებელი დაავადებული იყო ნეიროცირკულატორული დისტონიით, ასთენო-ნევროზული სინდრომით, ქრონიკული გასტროდუოდენიტი, ზემო და ქვემო კიდურებისა და საზარდულის სოკოვანი დაავადებით.

ბ. სისხლის-სამართლებრივი სამართალწარმოება და წინასწარი პატიმრობის გასაჩივრება

31. 1995 წლის 8 თებერვალს განმცხადებელი ბრალდებულ იქნა ბანკის კუთვნილი თანხის უკანონოდ მითვისებაში და პრევენციული ზომის სახით შეეფარდა განსაზღვრულ ადგილას ცხოვრების ვალდებულება. სისხლის სამართლის საქმეს მიეცა № 48529.
32. 1995 წლის 17 თებერვალს მას ბრალი წაუყენეს სხვა კომპანიის კუთვნილი წილის გაფლანგვასთან დაკავშირებით.
33. 1995 წლის 29 ივნისს, გამომძიებლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც დაამტკიცა პროკურორმა, განმცხადებელი დააპატიმრეს. პატიმრობას საფუძველად დაედო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში ხელის შეშლის მოტივი. კერძოდ, ბრძანებაში კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით, საუბარი იყო იმაზე, რომ განმცხადებელმა უარი განაცხადა გამოძიებისათვის გარკვეული დოკუმენტების წარდგენაზე, რომელიც მინეული იყო საჭიროდ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მან ასევე განახორციელა მოწმეებზე ზეწოლა და გაანადგურა დოკუმენტაცია, რომელიც მტკიცებულებად შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული მის წინააღმდეგ. ბრძანებაში, დამატებით, ყურადღება იყო გამახვილებული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და სერიოზულობაზე. კომპეტენტურმა პროკურორმა განმცხადებლის პატიმრობა განუსაზღვრელი ვადით გააგრძელა.
34. 1995 წლის 4 ივლისს, 31 აგვისტოსა და 26 სექტემბერს განმცხადებლის ადვოკატმა მაგადანის საქალაქო სასამართლოს საჩივრით მიმართა. იგი მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის გათავისუფლებას მოითხოვდა. აღნიშნული საჩივრები სასამართლომ უარყო 1995 წლის 14 ივლისს. 9 სექტემბერს და 4 ნოემბერს.
35. განმცხადებელი აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ 1995 წლის აგვისტოდან 1995 წლის ნოემბრამდე საგამომძიებო მოქმედებები საერთოდ არ განხორციელებულა, რადგან ორი გამომძიებელი, რომლებიც მის საქმეზე მუშაობდნენ, შევსებულაში იმყოფებოდნენ, ხოლო იმ პირებს, რომელთაც საქმეზე მუშაობა დაევაღათ დროებით, არაფერი გაუკეთებიათ.
36. 1995 წლის 14 დეკემბერს აპლიკანტს წარედგინა 8 დამატებითი ბრალდების პუნქტი, რომელიც ბანკიდან თანხების უკანონო მითვისებას ეხებოდა.
37. 1996 წლის 6 თებერვალს განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული წინასწარი გამოძიება შეწყდა და საქმე განსახილველად გადაეგზავნა მაგადანის საქალაქო სასამართლოს.
38. 1996 წლის 1 მარტს განმცხადებელმა, მისი გათავისუფლების მოთხოვნით, მიმართა მაგადანის საქალაქო სასამართლოს, რაზეც 1996 წლის 27 მარტს მან უარი მიიღო.
39. იმავე დღეს საქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა, შემდგომი გამოძიებისათვის, საქმე მაგადანის რეგიონალური პროკურორისათვის გადაეგზავნა. ამ უკანასკნელმა სააპელაციო საჩივრით მიმართა მაგადანის საოლქო სასამართლოს (Магаданский областной суд), რომელმაც 1996 წლის 27 მარტს საჩივარი არ დააკმაყოფილა.
40. დამატებითი გამოძიების დამთავრების შემდეგ, 1996 წლის 19 ივნისს, რეგიონულმა პროკურორმა საქმე დააბრუნა საქალაქო სასამართლოში.
41. იმავე პერიოდში, 1996 წლის 16 მაისს, განმცხადებელმა საჩივრით მიმართა საქალაქო სასამართლოს. იგი ასაჩივრებდა მისი პატიმრობის პირობებს და აცხადებდა, რომ

ამის გამო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. აღნიშნული საჩივარი 1996 წლის 26 მაისს უარყვეს.

42. 1996 წლის 11 ნოემბერს საქალაქო სასამართლომ დაიწყო საქმის არსებითი განხილვა. იმავე დღეს სასამართლომ უარყო 1996 წლის 23 ივნისს დაყენებული გათავისუფლების მოთხოვნა.

43. 1996 წლის 27 დეკემბერს სასამართლო განხილვაზე განმცხადებელმა საქალაქო სასამართლოს სამედიცინო ცნობის საფუძველზე მისი გათავისუფლება სთხოვა. ბ-ნი კალაშნიკოვი აცხადებდა, რომ იგი იმყოფებოდა საკანში, რომელშიც იყო 8 საწოლი და იმყოფებოდა 21 პატიმარი. საკანს, რომელშიც ყველა ეწეოდა, არ ჰქონდა სავენტილაციო სისტემა. ტელევიზორი გამუდმებით იყო ჩართული. განმცხადებელი მუნიტ დაავადდა. დაავადების დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის მიღების შემდეგ, საქალაქო სასამართლომ მოსმენები 1997 წლის 14 იანვრამდე შეაჩერა. მის გათავისუფლებაზე უარს საფუძველად დაედო ჩადენილი დანაშაულების სერიოზულობა, საქმეზე ტექმარიტების დადგენისთვის ხელის შეშლა.

44. საქალაქო სასამართლოს მიერ განმცხადებლის საქმის განხილვა გაგრძელდა 1997 წლის 23 აპრილამდე. 1997 წლის 7 მაისს საქმის განხილვა შეწყდა, რადგან საქმის განმხილველი მოსამართლე გაათავისუფლეს მისი სამსახურებრივი მოვალეობებისთვის შეუფერებელი საქციელის გამო, რაც განმცხადებლის საქმესთან არ იყო დაკავშირებული.

45. 1997 წლის 15 ივლისს განმცხადებელმა ახალი განაცხადი გააკეთა. იგი პატიმრობის არასათანადო პირობების გამო ითხოვდა გათავისუფლებას.

46. 1997 წლის ივლისში განმცხადებლის საქმე განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს, რომელმაც საქმის განხილვა 1997 წლის 8 აგვისტოს დანიშნა. აღნიშნულ თარიღში ადვოკატის ავადმყოფობის გამო სასამართლო მოსმენა არ შედგა. განმცხადებელს ჩადენილი დანაშაულების სერიოზულობისა და საქმეზე ტექმარიტების დადგენაზე ხელის შეშლის მოტივით გათავისუფლებაზე კვლავ უარი უთხრეს. განმცხადებლის კიდევ ერთი, 1997 წლის 21 სექტემბრის მოთხოვნა მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, 1997 წლის 21 ოქტომბერს უარყვეს.

47. 1997 წლის 22 ოქტომბერს განმცხადებელმა საჩივრით მიმართა მაგადანის საოლქო სასამართლოს. ის მოითხოვდა მისი საქმის გადაცემას საქალაქოსგან საოლქო სასამართლოსთვის. მან ანალოგიური შინაარსის საჩივრით მიმართა რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოს (Верховный Суд Российской Федерации), რომელმაც, თავის მხრივ, საჩივარი განსახილველად საოლქო სასამართლოს გადაუზავნა. საოლქო სასამართლომ 1997 წლის 31 ოქტომბრისა და 25 ნოემბრის წერილებით, განმცხადებელს შეატყობინა, რომ არ არსებობდა საფუძველი იურისდიქციის გადაცემისათვის და განუმარტა, რომ მას შეეძლო პირდაპირ მიემართა საქალაქო სასამართლოსათვის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. საოლქო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს თხოვნით მიმართა, რომ ამ უკანასკნელს მიეღო ყველა ზომა ბ-ნი კალაშნიკოვის საქმის არსებითად განხილვის მიზნით.

48. 1997 წლის 21 ნოემბერს კალაშნიკოვმა მიმართა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მაგადანის საქალაქო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო კომისიას (Высшая квалификационная коллегия судей Российской Федера-

ции), ორგანოს, რომელიც დაკავებულია პროფესიული კომპეტენციის საკითხებით და გენერალურ პროკურორს. საჩივარში განმცხადებელი, *inter alia*, მიუთითებდა, რომ იგი იმყოფებოდა მიუღებელ საპატიმრო პირობებში, მის საქმეზე დიდი ხნის განმავლობაში არ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება, მას ქვედა კიდურებზე დასცვივდა ფრჩხილები და დაავადდა არაერთი კანისა და გულისსხლდარღვთა დაავადებებით.

49. 1998 წლის 5 თებერვალს მაგადანის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელს შეატყობინა, რომ საქმის განხილვას დაასრულებდა 1998 წლის 1 ივლისისათვის, საქმის კომპლექსურობაზე და მოსამართლეთა დაკავებულობაზე მითითებით.

50. 1998 წლის 11 თებერვალს მაგადანის საოლქო სასამართლომ, ქალაქის სასამართლოს გაუგზავნა განმცხადებლის მიერ გაკეთებული თერთმეტი საჩივარი, რომლებიც მან გენერალური პროკურატურიდან, უზენაესი სასამართლოდან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან მიიღო.

51. 1998 წლის 23 თებერვალს განმცხადებელმა დაიწყო შიმშილობა, მისი პატიმრობის პირობებთან და სასამართლო განხილვის არაგონივრულ ხანგრძლივობასთან დაკავშირებით ხელისუფლების ყურადღების მიპყრობის მიზნით. შიმშილობა გაგრძელდა 1998 წლის 17 მარტამდე.

52. 1998 წლის 1 მარტს განმცხადებელმა, საქმის საოლქო სასამართლოსთვის გადაცემის მოთხოვნით, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო დუმის საპარლამენტო კომიტეტს საჩივრით მიმართა.

53. 1998 წლის 3 მარტს მაგადანის რეგიონის იუსტიციის დეპარტამენტმა, განმცხადებლის საჩივრებთან დაკავშირებით, მიმართა იუსტიციის სამინისტროს და აცნობა, რომ კალაშნიკოვის საქმეს 1998 წლის მეორე ნახევარში განიხილავდნენ.

54. იმავე პერიოდში, განმცხადებელმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-1 და 239-ე მუხლების შესაბამისად, რომლებიც ეხება წინასასამართლო პერიოდში საქმის განხილვის ვადებს, საჩივრით, მიმართა რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს (Конституционный Суд Российской Федерации). 1998 წლის 10 მარტის წერილით საკონსტიტუციო სასამართლომ განმცხადებელს აცნობა, რომ ვინაიდან გასაჩივრებული დებულებები არ აწესებს დროის ლიმიტს პატიმრობასთან დაკავშირებით, სასამართლო განხილვის პერიოდში მისი საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

55. განმცხადებელმა ასევე მიმართა მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო საბჭოს, რომელმაც 1998 წლის 30 მარტის წერილის საფუძველზე მაგადანის საოლქო სასამართლოს საკითხის გამოძიება მოსთხოვა.

56. 1998 წლის 2 აპრილს განმცხადებელმა საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს. საჩივარი ეხებოდა სასამართლო მოსმენისათვის თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, პატიმრობის არასათანადო პირობებზე მითითებით. ბ-ნი კალაშნიკოვის მიერ ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მისამართით სხვადასხვა დროს გაგზავნილი საჩივრები საბოლოო განხილვისათვის იგზავნებოდა მაგადანის საქალაქო სასამართლოში.

57. 1998 წლის 13 აპრილს, მაგადანის საოლქო სასამართლომ განმცხადებელს შეატყობინა, რომ მისი საქმის დროული განხილვა დაევადა საქალაქო სასამართლოს. მან ასევე

განმარტა, რომ საქმის განხილვა უნდა შემდგარიყო საქალაქო სასამართლოში, საოლქო სასამართლო კი შეიძლებოდა საქმეში ჩართულიყო, როგორც საკასაციო ინსტანცია.

58. 1998 წლის 25 მაისს განმცხადებელმა საქალაქო სასამართლოს პეტიციით მიმართა. იგი საოლქო სასამართლოსათვის საქმის გადაცემას ითხოვდა.

საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის 1998 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით საქმის დროულად განხილვის მიზნით განმცხადებლის საქმე გადაიგზავნა ხასინსკის რაიონულ სასამართლოში (Хасынский районный суд).

59. 1998 წლის 16 ივნისს განმცხადებელმა პრეტენზია გამოთქვა მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო საბჭოში საქმის განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

60. 1998 წლის 16 ივნისს განმცხადებელმა გათავისუფლების თხოვნით მიმართა ხასინსკის რაიონულ სასამართლოს, რომელშიც იგი აპელირებდა გაუარესებულ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებით დამძიმდა ციხის გადატვირთულობისა და პატიმრობის არასათანადო პირობების შედეგად. იმავე დღეს, კალაშნიკოვმა განცხადებით მიმართა ხასინსკის რაიონულ სასამართლოს. განცხადებაში იგი მოითხოვდა მისი საქმის მაგადანის საოლქო სასამართლოსთვის გადაცემას, რადგან ხასინსკის სასამართლო ქალაქ მაგადანიდან დიდი მანძილით იყო დაშორებული, რაც ხელს შეუშლიდა საქმის სწრაფად და ობიექტურად განხილვას.

61. 1998 წლის 1 ივლისს კალაშნიკოვმა საჩივრით მიმართა საოლქო სასამართლოს. იგი მიუთითებდა, რომ ხასინსკის რაიონულ სასამართლოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა განსაზღვრული განხილვის დრო და საქმის განხილვის დაჩქარებას ითხოვდა.

62. 1998 წლის 3 ივლისს საქმე დაუბრუნდა მაგადანის საქალაქო სასამართლოს, რადგან განმცხადებელმა მისი საქმის ხასინსკის სასამართლოსათვის გადაცემის გამო უკმაყოფილება გამოთქვა.

63. 1998 წლის 8 ივლისს განმცხადებელმა მიიღო საოლქო სასამართლოს წერილი. სასამართლოს განმარტებით, არ არსებობდა საფუძველი იმისათვის, რომ კალაშნიკოვის საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვის საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო. მომდევნო დღეს განმცხადებელმა საქალაქო სასამართლოს არასათანადო პატიმრობის პირობების გამო გათავისუფლება სთხოვა.

64. 1998 წლის 31 ივლისს განმცხადებელმა მიმართა მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო პალატას. იგი ასაჩივრებდა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებული საკითხის არაგონივრულ გაჭიანურებას. 1998 წლის 19 აგვისტოს საჩივარი გადაიგზავნა მაგადანის საოლქო სასამართლოში. კალაშნიკოვი პრეტენზიასთან და საქალაქო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ითხოვდა. 1998 წლის 27 აგვისტოს განმცხადებლის საჩივარი გადაიგზავნა საქალაქო სასამართლოში. განმცხადებელმა ასევე მიმართა საჩივრით მაგადანის საოლქო სასამართლოს, რომლითაც იგი ასაჩივრებდა საქმის განხილვის დაწყების გაჭიანურებას. აღნიშნული საჩივარიც 1998 წლის 11 აგვისტოს საქალაქო სასამართლოს გადაეგზავნა.

65. 1998 წლის 7 სექტემბერს კალაშნიკოვმა კვლავ საჩივრით მიმართა მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო კომისიას, სადაც იგი მიუთითებდა, რომ საოლქო სასამართლოსათვის გაგზავნილი ყველა საჩივარი, ავტომატურ რეჟიმში, ყოველგვარი ზომის მიღების გარეშე, გადაეგზავნა მაგადანის საქალაქო სასამართლოს. 1998 წლის 23

სექტემბერს აპლიკანტის საჩივარი გადაეგზავნა მაგდანის საოლქო სასამართლოს. წერილში კვლავ მიუთითებდნენ კალაშნიკოვის საქმის განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების დაჩქარების თაობაზე. 1998 წლის 7 სექტემბერს, განმცხადებელმა, ასევე გააგზავნა საჩივარი უზენაესი სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებით. 1998 წლის 5 ოქტომბერს, განმცხადებელმა მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო კომისიას დამატებითი პრეტენზიები წარუდგინა.

66. 1998 წლის 13 ნოემბერს ქალაქის სასამართლომ დანიშნა სასამართლო განხილვის დღე – 1999 წლის 28 იანვარი.

67. 1998 წლის 25 ნოემბერს განმცხადებელმა საჩივრით მიმართა მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო კომისიას. საჩივარი ეხებოდა მაგდანის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. 1998 წლის 22 დეკემბერს, საჩივარი შესასწავლად გადაეგზავნა მაგდანის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს. 1998 წლის 16 დეკემბერს მაგდანის საოლქო სასამართლომ კალაშნიკოვის კიდევ ერთი საჩივარი გადაეგზავნა საქალაქო სასამართლოში რეგირებისათვის.

68. 1999 წლის 18 იანვარს განმცხადებელმა საქალაქო სასამართლოს პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით მიმართა.

69. 1999 წლის 28 იანვარს მაგდანის საქალაქო სასამართლომ საქმე შემდგომი გამოძიებისათვის დაუბრუნა პროკურატურას, იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო საქმის გამოძიებასთან დაკავშირებული პროცედურული ნორმები. სასამართლომ უარი უთხრა განმცხადებელს გათავისუფლებაზე, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ხელის შეშლის მოტივით. კალაშნიკოვმა აღნიშნული უარი საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც 1999 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. საოლქო სასამართლომ-გააუქმა საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმის გამოძიებისათვის დაბრუნების თაობაზე და საქმის არსებითად განხილვა ბრძანა. იმავე დღეს ცალკე მიღებულ გადაწყვეტილებაში, საოლქო სასამართლომ საქმის განხილვის ვადა არაგონივრულად ცნო და საქალაქო სასამართლოს დაავალა ერთი თვის ვადაში ეცნობებინა საქმის განხილვასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის შესახებ.

70. 1999 წლის 17 მარტს განმცხადებელმა კიდევ ერთი საჩივრით მიმართა საქალაქო სასამართლოს პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. იმავე დღეს განმცხადებელმა საჩივრით მიმართა მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო კომისიას. იგი ასაჩივრებდა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე შეფარდებულ მის ხანგრძლივ პატიმრობას. ხუთი დღის შემდეგ ანალოგიური შინაარსის საჩივარი გაეგზავნა მოსამართლეთა რეგიონალურ საკვალიფიკაციო კომისიას. 1999 წლის 5 აპრილს განმცხადებელმა კიდევ ერთი საჩივრით მიმართა მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო კომისიას, რომელშიც იგი ასაჩივრებდა მის საქმესთან დაკავშირებული სამართალწარმოების არაგონივრულ ვადებს.

71. 1999 წლის 15 აპრილს საქალაქო სასამართლომ კალაშნიკოვის საქმის შესწავლა დაასრულა. 1999 წლის 20 აპრილს განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებული ზეპირი მოსმენისას, პროკურორმა, განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის დადგენის მიზნით, რომელიც ხანგრძლივი პატიმრობის გამო, სავარაუდოდ, სავრძნობლად შერყეულიყო, ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა. საქალაქო სასამართლომ

აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მოსმენა 1999 წლის 30 აპრილამდე გადაიდო.

72. 1999 წლის 30 აპრილს განმცხადებელმა სასამართლო მოსმენაზე პატიმრობიდან გათავისუფლება უშედეგოდ ითხოვა. იგი ჩიოდა უძილობასთან დაკავშირებით - მის საკანში მყოფ 18 პატიმარს მონაცვლეობით ეძინა და ბოლოს, წინასწარ პატიმრობაში მისი დატოვება უსაფუძვლო იყო, რადგან ყველა საგამოძიებო მოქმედება უკვე დამთავრებულიყო და შესაბამისად, იგი კვლარ შეძლებდა საქმეზე ტექნიკური დადგენისთვის ხელის შეშლას. პროკურორმა, რომელიც საქმის განხილვაში მონაწილეობდა, სასამართლოს სთხოვა საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციისათვის მიემართა თხოვნით, რათა სასამართლო განხილვის პერიოდში მოეხდინა სათანადო საპატიმრო პირობებით კალაშნიკოვის უზრუნველყოფა. მან ასევე განაცხადა, რომ ანალოგიური თხოვნით მიმართავდა სასჯელის მოხდაზე ზედამხედველ პროკურორს. განმცხადებლის თქმით, მის საკანში მივიდა ზედამხედველი პროკურორი, რომელმაც პატიმრობის პირობები საკუთარი თვალთ ნახა და მის არასათანადოობაში დარწმუნდა, თუმცა იქვე განაცხადა, რომ სხვა საკნებშიც ანალოგიური მდგომარეობა იყო და რომ მთავრობას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ფული არ ჰქონდა.

73. 1999 წლის 8 ივნისს გამართულ სასამართლო მოსმენაზე კალაშნიკოვმა კვლავ ითხოვა მისი პატიმრობიდან გათავისუფლება. მან იქვე აღნიშნა, რომ მის პირობებში სასამართლოში ჩვენების მისაცემად მომზადება შეუძლებელი იყო. მან ასევე დაამატა, რომ ორჯერ დაავადდა მუნით და მისი თეთრეული ამ პერიოდში ერთხელაც არ გამოუცვლიათ. განმცხადებლის მოთხოვნა ამჯერადაც უარყოფილ იქნა.

74. 1999 წლის 16 ივნისს გამართულ სასამართლო მოსმენაზე კალაშნიკოვმა მისი პატიმრობიდან გათავისუფლების კიდევ ერთი თხოვნა დააყენა. მისი განცხადებით, იგი დაავადებული იყო სოკოვანი დაავადების მძიმე ფორმით, მთელ სხეულზე, მკბენარების კბენის შედეგად, აღენიშნებოდა წყლულები, საწოლს იყოფდა კიდევ ორ პატიმართან ერთად, შხაპის მიღება შეეძლოთ მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ, საკანში იყო უჰაერობა, რადგან ყველა ეწეოდა, აწუხებდა გულის დაავადება, 96 კილოგრამიდან მისი წონა დაეცა 67 კილოგრამამდე და ბოლოს, გათავისუფლების შემთხვევაში მას არ შეეძლო საქმის გამოძიებისათვის ხელის შეშლა. საქალაქო სასამართლომ თხოვნა არ განიხილა იმ მოტივით, რომ იგი არ წარმოადგენდა სასამართლო განხილვის საგანს.

75. 1999 წლის 22 ივნისს მოსამართლეთა უმაღლესმა საკვალიფიკაციო კომისიამ, განმცხადებლის საქმის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, თანამდებობიდან გაათავისუფლა მაგადანის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე და მისი ორი მოადგილე.

76. 1999 წლის 23 ივნისს სასამართლო განხილვისას განმცხადებელმა სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა, რადგან თავს შეუძლოდ გრძნობდა. სასამართლომ ბრძანა სპეციალურ კომისიას ჩაეტარებინა სამედიცინო შემოწმება, რათა დაედგინა შეეძლო, თუ არა კალაშნიკოვს სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღება და საჭირო იყო, თუ არა მისი პოსპიტალიზაცია.

1999 წლის ივლისის დასკვნაში, სამედიცინო კომისიამ მიუთითა, რომ კალაშნიკოვი დაავადებული იყო მთელი რიგი დაავადებებით (იხ. §30). დასკვნაში ასევე მითითებული იყო, რომ აღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ პოსპიტალიზაცია აუცილებელი არ იყო და კალაშნიკოვი შეიძლებოდა დარჩენილიყო საპატიმრო დაწესებულებაში. ასევე მათი გადაწყვეტილებით, განმცხადებელს ჯანმრთელობის მდგომარეობა სასამართლო მოსმენებში მონაწილეობის მიღებაში ხელს არ შეუშლიდა.

77. 1999 წლის 15 ივლისს, განმცხადებელმა საქმის განმხილველ სასამართლოს მისი პატიმრობიდან გათავისუფლება სთხოვა. მისი განცხადებით, რადგან სასამართლოს პრაქტიკულად დასრულებული ჰქონდა მტკიცებულებების შესწავლა, მას არ შეეძლო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლა. მისი თხოვნა უარყოფილ იქნა.

78. იმავე დღეს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქალაქო სასამართლომ დააფიქსირა ის ფაქტი, რომ მას 1999 წლის 15 აპრილიდან 15 ივლისამდე მოუხდა აპლიკანტის მიერ დაყენებული ოცდაათამდე პრეტენზიის განხილვა, რომლებიც არსებითად ერთსა და იმავე საკითხებს ეხებოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის პოზიცია მდგომარეობდა შემდეგში: იგი ჩვენებას მისცემდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი პრეტენზიები იქნებოდა დაკმაყოფილებული და მისი საჩივრების დაუკმაყოფილებლობა წარმოადგენდა სასამართლო განხილვის განზრახ დროში გაწელვის მცდელობას.

79. სასამართლოს მიერ დასაკითხი 29 მოწმიდან დაიკითხა 9 მოწმე. 12 მოწმის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები სასამართლო განხილვისას ხმამაღლა იქნა წაკითხული.

80. 1999 წლის 3 აგვისტოს განაჩენით საქალაქო სასამართლომ კალაშნიკოვი ბრალდებულად ცნო წაყენებული სამი ბრალდებიდან ერთის საფუძველზე. მას სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 6 თვით საერთო რეჟიმის გამასწორებელ კოლონიაში მოხდის პირობით. სასჯელის ვადის ათვლა დაიწყო 1995 წლის 29 ივნისიდან. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინასწარი გამოძიება არ იყო ეფექტურად ჩატარებული და გამოძიებლები საბრალდებო დასკვნაში მოცემული ბრალდების პუნქტების გაზრდას დაუსაბუთებლად შეეცადნენ. სასამართლომ ასევე დაადგინა გარკვეული პროცედურული ნირმების დარღვევა, მათ შორის, დადგინდა, რომ სასამართლოს წინაშე გამოძიების მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ იყო შედგენილი სათანადო ფორმით. სწორედ აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება იყო ერთ-ერთი ის ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუშალა საქმის სწრაფად განხილვას. ასევე დადგინდა პროცესუალური ზედამხედველობის ნორმების დარღვევა მაგადანის საოლქო პროკურატურის მხრიდან.

იმავე განაჩენით საქალაქო სასამართლომ საქმის ნაწილი შემდგომი გამოძიების ჩატარების მიზნით პროკურატურას დაუბრუნა. განმცხადებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც 1999 წლის 30 სექტემბერს გადაწყვეტილება კანონიერად ცნო.

81. 1999 წლის 3 აგვისტოს განაჩენი შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო გამოტანის შემდეგ შვიდი დღის ვადაში, თუმცა განმცხადებელს აპელაციის უფლება არ გამოუყენებია. მისი აზრით, აღნიშნული უფლების გამოყენებას შედეგი არ მოჰყვებოდა. 1999 წლის 11 აგვისტოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა.

82. 1999 წლის 11 აგვისტოს განმცხადებელმა, სასჯელის დარჩენილ პერიოდში სამეურნეო სამუშაოების შესრულების მიზნით იმავე დაწესებულებაში დატოვებასთან დაკავშირებით, ციხის ადმინისტრაციას თხოვნით მიმართა.

83. 1999 წლის 25 ოქტომბერს, განმცხადებელმა ექსკლუზიური საჩივრით, საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა. 1999 წლის 11 ნოემბერს სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნეს. 1999 წლის 30 ნოემბერს განმცხადებელმა კიდევ ერთი ექსკლუზიური საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს. საჩივარი 2000 წლის 9 ივნისს დაუშვებლად ცნეს.

84. 1999 წლის 24 სექტემბერს მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების პერიოდში პატიმრობა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილიდან გაუსვლელობის აღმკვეთი ღონისძიებით, თუმცა განმცხადებელი მაინც პატიმრობაში დარჩა და იხდიდა მისთვის განსაზღვრულ სასჯელს.

85. 1999 წლის 29 სექტემბერს ბრალდების დარჩენილ ნაწილთან დაკავშირებული სამართალწარმოება შეწყდა იმ საფუძველზე, რომ განმცხადებლის მიერ ჩადენილი ის ქმედებები, რომლებსაც აღნიშნული სამართალწარმოება შეეხებოდა, დანაშაულებრივ ქმედებას არ წარმოადგენდა. 1999 წლის 30 სექტემბერს განცხადებელს წაუყენეს ახალი ბრალდება, რომელიც ბანკის ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობის პერიოდში ქონების გაფლანგვას ეხებოდა.

86. 1999 წლის 19 ოქტომბერს, წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ, პროკურორმა საბრალდებო დასკვნა დაამტკიცა და განსახილველად მაგდანის საქალაქო სასამართლოს გაუგზავნა. განმცხადებლის საქმის მოსმენა დაიწყო 1999 წლის 20 დეკემბერს. 2000 წლის 31 მარტის განახებით საქალაქო სასამართლომ განმცხადებელი ახალ ბრალდებებთან დაკავშირებით დამნაშავედ ცნო.

87. 2000 წლის 26 ივნისს განმცხადებელი ციხიდან გათავისუფლდა 2000 წლის 26 მაისს გამოცხადებული ამინისტიის საფუძველზე.

II. შესაბამისი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

88. ა. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია

მე-2 სექციის პუნქტი 6 (2)

„სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანამდე, უნდა მოხდეს მანამდე არსებული დაკავების და პატიმრობის პროცედურის გამოყენება“.

89. ბ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 11 (1) პირადი ხელშეუხებლობა

„დაუშვებელია ადამიანის დაკავება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლოს, ან პროკურორის გადაწყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით“.

მუხლი 89 (1) აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება

„როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ეჭმიტანილი თავს აარიდებს გამოძიებას, სასამართლოს, ან ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ასევე სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, მომკვლევს, გამოძიებელს, პროკურორს, ან სასამართლოს უფლება აქვთ მოითხოვონ შემდეგი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება: ხელწერილი გაუსვლელობასთან დაკავშირებით, პირადი გარანტია, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ გაწეული გარანტია, პატიმრობა.“

მუხლის 92: გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ

„აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების მიზნით მომკვლევს, გამოძიებულს, ან პროკურორის უფლება აქვს დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, რომელმაც ასევე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებული იქნება დანაშაული, რომლის ჩადენაც პირს ედება ბრალად, ასევე შერჩეული აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძველი. პირს, რომლის მიმართაც გამოიყენეს აღმკვეთი ღონისძიება, დაუოფნებელი უნდა ეცნობოს ამის თაობაზე ისევე, როგორც მოცემული გადაწყვეტილების წესის შესახებ. პიროვნებას, რომლის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, პირადად უნდა ჩაბარდეს ამ გადაწყვეტილების ასლი“.

მუხლი 96: პატიმრობა

„აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინამდებარე კოდექსის მე-11 მუხლის დებულებების შესაბამისად და მხოლოდ იმ დანაშაულებისათვის, რომლებისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევებში აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართაც, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე ნაკლები ვადით“.

მუხლი 97: წინასწარი პატიმრობის ვადები

„წინასწარი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. მოცემული ვადა შეიძლება 3 თვემდე იქნეს გაგრძელებული რაიონული პროკურორის გადაწყვეტილებით... თუ შეუძლებელია გამოძიების დასრულება და, თუ არ არსებობს საფუძველი აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებასთან, ან შეცვლასთან დაკავშირებით. შემდგომი გაგრძელება 6 თვემდე ვადით დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული სირთულის საქმეებში რუსეთის ფედერაციის საოლქო პროკურორის მიერ.

წინასწარი პატიმრობის ვადის 6 თვეზე მეტი ვადით გახანგრძლივება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც ჩადენილი აქვთ მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ვადის გახანგრძლივება დასაშვებია გენერალური პროკურორის (18 თვემდე) და მისი მოადილის მიერ (ერთ წლამდე).

დაუშვებელია ზემოთ მოცემული ვადების გახანგრძლივება და ვადის გასვლის შემთხვევაში პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

წინასწარი პატიმრობის ვადის გახანგრძლივება ექვემდებარება სასამართლო გადასინჯვას მის კანონიერებასთან და დასაბუთებულობასთან დაკავშირებით წინამდებარე კოდექსის 220 (1) და 220 (2) მუხლებში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად“.

აღმკვეთი ღონისძიების გაუქმება, ან შეცვლა

„აღმკვეთი ღონისძიება უნდა გაუქმდეს, ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი ღონისძიებით, როდესაც აღარ არსებობს მისი გამოყენების საფუძველი. აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებასთან, ან შეცვლასთან დაკავშირებით, მომკვლევნი გამოძიებელი, ან პროკურორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. საქმის სასამართლოში გადაცემის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს მიერ.

მუხლი 223-1: სასამართლო მოსმენის დროის განსაზღვრა

„თუ პირი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, სასამართლო მოსმენის დროის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქმის სასამართლოსათვის გადაცემიდან არაუგვიანეს 14 დღისა“.

მუხლი 239: საქმის განხილვის ვადა

„სასამართლოს მიერ საქმის განხილვა უნდა დაიწყოს ზეპირი მოსმენისათვის დროის განსაზღვრიდან არაუგვიანეს 14 დღისა“.

90. გ. ფედერალური კანონი ექვემდებარება და ბრალდებულთა დაკავების შესახებ

აღნიშნული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, დაკავებულ პირთა მიერ სახელწიფო უწყებების ადგილობრივი თვითმმართველობი, ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ გაგზავნილი წერილები და საჩივრები იგზავნება საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით. ის საჩივრები და განცხადებები, რომელთა ადრესატიცაა: სახალხო დამცველი, სასამართლო, ან სახელმწიფო უწყება, რომელიც სასჯელის მოხდის კანონიერებას ზედამხედველობს, ცენზურას არ ექვემდებარება და იგზავნება დახურული კონვერტებით ადმინისტრაციაზე ჩაბარების მომენტიდან არაუგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა.

III. რუსეთის ფედერაციის დათქმა

91. 1998 წლის 5 მაისს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ გაკეთებული კონვენციის სარატიფიკაციო წერილი შეიცავს შემდეგ დათქმას:

„ევროპული კონვენციის 64-ე მუხლის შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია აცხადებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მესამე და მეოთხე პარაგრაფები ხელს არ შეუშლის რუსეთის ფედერაციის 1993 წლის კონსტიტუციის მეორე სექციის მე-6 პარაგრაფის გამოყენებას, რომელიც ეხება პირის დაკავებასა და პატიმრობას დანაშაულის ჩადენაში შესაძლო ეჭვის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 89, 90, 92, 96, 91-1, 96-2, 97, 101 და 122-ე მუხლებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, შემდგომი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით“.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხი

92. განმცხადებელი ასაჩივრებდა მაგადანის საპატიმრო დაწესებულებაში IZ-47/1 არსებულ პატიმრობის პირობებს, რომელიც, მისი განცხადებით, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. მე-3 მუხლის მიხედვით:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ, ან დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას“.

განმცხადებელი მიუთითებდა მის საკანში არსებულ გადატვირთულობასა და ანტისანიტარიულ პირობებზე, ასევე პატიმრობის ხანგრძლივობაზე და იმ პერიოდზე, რომელშიც მას მოუხდა აღნიშნულ პირობებში ყოფნა, რამაც განაპირობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება, პიროვნული დამცირება და ტკივილი.

93. მთავრობა აცხადებდა, რომ ის პირობები, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა პატიმრობაში, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო წამებად, ან დამამცირებელ მოპყრობად.

ის არ იყო უფრო უარესი და არ განსხვავდებოდა რუსეთის სხვა ციხეებში არსებული პირობებისაგან. გადატვირთულობა იყო ის პრობლემა, რომელიც დამახასიათებელი იყო წინასწარი საპატიმრო დაწესებულებებისათვის ზოგადად. ხელისუფლებას არ ჰქონდა განზრახული განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება. საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაცია იღებდა მის ხელთ არსებულ ყველა ზომებს ნებისმიერი ავადმყოფი პატიმრის სამკურნალოდ და გადამღები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

94. ის ფაქტი, რომ რუსეთის საპატიმროებში არსებული პირობები, ეკონომიკური ფაქტორების გამო არ შეესაბამებოდა სხვა ევროპის საბჭოს ქვეყნებში არსებულ პირობებს, თავიდანვე იქნა აღიარებული. მიუხედავად ამისა, მთავრობა საპატიმრო პირობების სრულყოფის მიზნით მაქსიმუმს აკეთებდა. რუსეთის ხელისუფლების მიერ ხორციელდებოდა სხვადასხვა პროგრამები, რაც ითვალისწინებდა ახალი დაწესებულებების მშენებლობას, ძველების რეაბილიტაციას, ტუბერკულოზისა და სხვა გადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას. აღნიშნული პროგრამების განხორციელების შედეგად წინასწარ საპატიმრო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შესაძლებელი იყო.

95. სასამართლო აღნიშნავს, რომ მესამე მუხლი თავის თავში მოიცავს დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფუნდამენტურ ღირებულებებს. იგი აბსოლუტური გაგებით კრძალავს წამებას, არაადამიანურ მოპყრობას და დასჯას, მიუხედავად გარემოებებისა და მსხვერპლის ქცევისა (იხილეთ, მაგ.: ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ, №26772/95, § 119, ECHR 2000 -IV).

სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მისი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, იმისთვის, რომ მოპყრობა მოხდეს მესამე მუხლით დაცული სფეროს ქვეშ, აუცილებელია მან მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. აღნიშნული მინიმუმის განსაზღვრა ფარდობითია და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, ისეთებზე, როგორიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი შედეგები, ზოგ საქმეებში სქესი, ასაკი და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, §162). სასამართლომ მოპყრობა მიიჩნია „არაადამიანურად“ იმ შემთხვევაში, როცა იგი იყო წინასწარ განზრახული, გამოიყენებოდა საათების განმავლობაში და შედეგად ახლდა სხეულებრივი დაზიანება, ინტენსიური ფიზიკური, ან სულიერი ტანჯვა. მან მოპყრობა მიიჩნია „დამამცირებლად“ იმ შემთხვევებში, რომელსაც თან ახლდა მსხვერპლში შიშის, დამცირებისა და გაურკვევლობის გამოწვევა (იხ. მაგალითად: კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, §92). საკითხის განსაზღვრისას, წარმოადგენს, თუ არა მოპყრობა „დამამცირებელს“ მე-3 მუხლის მიზნებისათვის, სასამართლო ითვალისწინებს წარმოადგენდა, თუ არა მოპყრობის მიზანს ადამიანის შეურაცხყოფა და დამცირება შედეგის თვალსაზრისით, ახდენს, თუ არა მოპყრობა მსხვერპლზე ისეთ ზეგავლენას, რომელიც შეუსაბამოა მე-3 მუხლის მიზნებთან (იხ. მაგ.: რანინენი ფინეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება §55), თუმცა ასეთი განზრახვის არარსებობა არ ნიშნავს, რომ არ დადგინდება მესამე მუხლის დარღვევა (იხ. მაგ.: პირსი საბერძნეთის წინააღმდეგ, §74). ტკივილი და დამცირება ყველა შემთხვევაში უნდა სცდებოდეს მოპყრობის, ან დასჯის კანონიერ მიზნებს.

ზომები, რომელიც თან ახლავს თავისუფლების აღკვეთას, თავისთავად შეიძლება მოიცავდეს ასეთ ელემენტებს, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ, მაგალითად, წინასწარ პატიმრობაში პირის განთავსება თავისთავად წარმოშობს მესამე მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხს. არ შეიძლება მესამე მუხლი განიმარტოს იმგვარად, თითქოს მისგან გამომდინარეობდეს ჯანმრთელობის საფუძველზე, წინასწარ პატიმრობაში მყოფი

დაავადებული პირის გათავისუფლების ზოგადი ვალდებულება, ან სამოქალაქო სააგადმოფოში სპეციფიური მკურნალობის ვალდებულება.

მიუხედავად ამისა, მოცემული დებულების შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, პირის დაკავება ისეთ პირობებში, რომელიც ზიანს არ აყენებს მის ადამიანურ ღირსებას და რომ მოპყრობის მეთოდი და მანერა არ არის ტკივილის გამომწვევი, ასევე სათანადო ყურადღება ექცევა მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებას (იხ. კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, §§ 92-94).

პატიმრობის პირობების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ კუმულაციურ ეფექტს, რომელიც პატიმრობას აქვს ადამიანზე, ასევე განმცხადებლის მიერ გამოთქმულ სპეციფიურ პრეტენზიებს (იხ. დოუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ, § 46).

96. მოცემულ საქმეში სასამართლო აფიქსირებს, რომ განმცხადებელი მაგადანის საპატიმრო დაწესებულებაში IZ-47/1 იმყოფებოდა 1995 წლის 25 ივნისიდან 1999 წლის 20 ოქტომბრამდე და 1999 წლის 9 დეკემბრიდან 2000 წლის ივნისამდე. სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების თანახმად, კონვენციის მოქმედება ვრცელდება იმ ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მისი ძალაში შესვლის შემდგომ კონკრეტული სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის შემდეგ. რუსეთის ფედერაციისათვის კონვენცია 1998 წლის 5 მაისს ძალაში შევიდა. თუმცა განმცხადებლის საპატიმრო პირობების შეფასებისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს პატიმრობის მთლიან პერიოდს, მათ შორის, ვადას 1998 წლის 5 მაისამდე.

97. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი მოთავსებული იყო 17 კვ. მეტრ (განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად) და 20.8 კვ. მეტრ (მთავრობის თანახმად) საკანში, რომელიც განკუთვნილი იყო 8 პატიმრისათვის. საკანში განთავსებული იყო ორიარუსიანი საწოლები. შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული აღჭურვილობა მისაღებ სტანდარტებს. მოცემულ კონტექსტში სასამართლო აღნიშნავს, რომ წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (წსკ), ერთი პატიმრის საშუალო პერსონალურ სივრცედ მიიჩნია 7 კვ. მეტრი (იხილეთ 2nd General Report - CPT/Inf (92) 3, §43), ე. ი. 8 პატიმრისათვის 56 კვ. მეტრი.

მიუხედავად იმისა, რომ საკანი განკუთვნილი იყო 8 პატიმრისათვის, განმცხადებლის მიერ სასამართლოსათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პატიმართა რიცხვი მისი პატიმრობის პერიოდში მერყეობდა 18-დან 24 პატიმრამდე. 1996 წლის 27 დეკემბერს განმცხადებელი გათავისუფლების მიმართვაში აცხადებდა, რომ მის 8-ადგილიან საკანში იმყოფებოდა 21 პატიმარი. 1999 წლის 8 იანვარს გაკეთებულ იმავე შინაარსის მიმართვაში განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მის საკანში იმყოფებოდა 18 პატიმარი (იხ. 43-ე და 73-ე პარაგრაფები, ზემოთ).

სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ, თავის მხრივ, აღიარა, რომ გადატვირთულობის მიზეზით საპატიმრო დაწესებულებაში თითო საწოლზე მოდიოდა საშუალოდ 2-3 პატიმარი. ამავე დროს, განმცხადებელს და მთავრობას გააჩნია განსხვავებული პოზიცია საკანში პატიმართა რაოდენობასთან დაკავშირებით. მთავრობის ინფორმაციით, კალაშნიკოვის საკანში იმყოფებოდა 11, ან მეტი პატიმარი და მათი რაოდენობა საშუალოდ იყო 14, თუმცა მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი დოკუმენტაცია მისი აღნიშნული პოზიციის დასამტკიცებლად. განმცხადებლის ინფორმაციით, მხოლოდ 2000 წლის მარტ-აპრილში მოხდა პატიმართა რაოდენობის 11-მდე შემცირება.

სასამართლომ არ ჩათვალა აუცილებლად განმცხადებელსა და მთავრობას შორის მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული უთანხმოების გარჩევა. წარმოდგენილი ციფრების თანახმად თითოეული პატიმრის პერსონალური სივრცე საშუალოდ 0.9-1.9

კვ. მეტრი იყო. შესაბამისად, საკანი გამუდმებით გადატვირთულ მდგომარეობაში იყო, რაც თავისთავად წინ სწევს მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხს.

სერიოზული გადატვირთულობის გამო, პატიმრები იძულებულნი იყვნენ დაეძინათ რიგ-რიგობით, რეკსაათიანი ინტერვალებით. როგორც ეს გათავისუფლების მოთხოვნით 1999 წლის 16 ივნისს გაკეთებულ მიმართვაში ჩანს, განმცხადებელი მოცემულ პერიოდში საწოლს უზიარებდა 2 თანამესაკნეს (იხ. §74 ზემოთ). საკანში ძილი გართულებული იყო მუდმივი განათებისა და იმ ხმაურის გამო, რომელიც გამოწვეული იყო პატიმართა დიდი რაოდენობით. შედეგად განვითარებულმა ძილის უკმარისობამ, სავარაუდოდ, ცუდი შედეგი იქონია პატიმრის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე.

სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ადეკვატური ვენტილაციის არარსებობის პირობებში, პატიმართა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, რომელთაც შეეძლოთ თამბაქოს მოხმარება, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი გაჰყავდათ ყოველდღიურ ერთსაათიან გასეირნებაზე, დარჩენილი დროის განმავლობაში იგი გამოკეტილი იყო ძალიან მცირე სივრცის მქონე საკანში.

98. შემდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საკანში არსებული მკბენარების გასანადგურებლად სანიტარული ღონისძიებები არ ხორციელდებოდა. მთავრობამ მოცემული პრობლემები აღიარა და აღნიშნა, რომ მინისტრის ციხის ადმინისტრაცია 1989 წლის ბრძანების საფუძველზე ვალდებული იყო მიეღო ზომები დაწესებულების მკბენარებისაგან გაწმენდის მიზნით. თუმცა განმცხადებლის საკანში აღნიშნული ზომები არ განხორციელდებულა.

პატიმრობის განმავლობაში განმცხადებელი დაავადდა კანის სხვადასხვა, მათ შორის, სოკოვანი დაავადებებით. ამ მიზეზით 1996, 1997 და 1999 წლებში საჭირო გახდა სასამართლო მოსმენების გადადება. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ კალაშნიკოვს მკურნალობდნენ, პატიმრობის სავალალო პირობების გამო, დაავადებები განმეორებით აღმოცენდა.

სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელთან ერთად საპატიმროში იმყოფებოდნენ სიფილისითა და ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები.

99. საკანში არსებულ სანიტარულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა საპირფარეშო. 1,1 მეტრი სიმაღლის გამყოფი კედელი, რომელიც საპირფარეშოსა და ხელსაბანს შორის იყო, ვერ უზრუნველყოფდა საპირფარეშოს საცხოვრებელი სივრცისაგან გამოჯვნას. შესაბამისად, განმცხადებელი იძულებული იყო ბუნებრივი მოთხოვნილებები სხვა პატიმრების თვალწინ დაეკმაყოფილებინა. მთავრობის მიერ წარმოდგენილ ფოტოებზე ჩანს ბინძური საკანი მსგავსი საპირფარეშოთი.

სასამართლო კმაყოფილია მაგადანის საპატიმრო დაწესებულებაში განხორციელებული არსებითი ცვლილებებით (რომელიც სასამართლოსათვის წარმოდგენილ ვიდეოფირზე ჩანს), თუმცა აღნიშნული ვერ მოახდენს ზემოქმედებას იმ შეფასებაზე, რომელიც დაკავშირებულია განმცხადებლის ყოვლად მიუღებელ საპატიმრო პირობებთან.

100. განმცხადებლის პატიმრობის პირობები შეაფასა მისი საქმის განმხილველმა სასამართლომ. 1999 წლის ივნისში მისი ჰოსპიტალიზაციის საკითხის გასარკვევად (იხ. §§ 71, 76) მან მოითხოვა იმ სავარაუდო ეფექტის შეფასება, რომელიც 4-წლიანმა

პატიმრობამ მოახდინა განმცხადებლის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ექპერტების მიერ განმცხადებლის პოსიტიულიზაციასთან დაკავშირებით უარყოფითი პასუხი გაიცა, სასამართლო მხედველობაში იღებს მათ 1999 წლის ივლისის დასკვნებს, რომლებშიც ჩამოთვლილია განმცხადებლის დაავადებები, მათ შორის, ნეიროციტოკულარული დისტონია, ასთენო-ნევროზული სინდრომი, ქრონიკული გასტროდუოდენტიტი, ზედა და ქვედა კიდურების სოკოვანი დაავადებები და მიკოზისი (იხ. §30, ზემოთ).

101. სასამართლო აღიარებს, რომ მოცემულ საქმეში განმცხადებლის დამცირებისა და შეურაცხყოფის განზრახვას ადგილი არ ჰქონია. დარღვევის დადგენისას მხედველობაშია მისაღები საკითხი იმის თაობაზე, წარმოადგენდა, თუ არა მოპყრობის მიზანს პირის დამცირება, თუმცა ასეთი განზრახვის არარსებობა თავისთავად არ გამოირიცხავს დარღვევის დადგენის შესაძლებლობას (იხ. *Peers v. Greece* cited above). სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობის პირობებმა, რომელშიც განმცხადებელი დაახლოებით 4 წლისა და 10 თვის განმავლობაში იმყოფებოდა, გამოიწვია მნიშვნელოვანი სულიერი ტანჯვა, მისი ღირსების დამცირება.

102. ზემოთ განხილულის საფუძველზე, პატიმრობის იმ პირობებს, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, გადატვირთულობისა და ანტისანიტარიის პრობლემებთან ერთად, რომელმაც გამანადგურებელი ეფექტი იქონია განმცხადებლის ჯანმრთელობაზე, ასევე ხანგრძლივ პატიმრობას, სასამართლო მიიჩნევს დამამცირებელ მოპყრობად.

103. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის მე-5 (3) მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხი

104. ბ-ნი კალაშნიკოვი აცხადებდა, რომ ხანგრძლივმა წინასწარმა პატიმრობამ დაარღვია კონვენციის მე-5 (3) მუხლი, რომლის თანახმადაც:

„ამ მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული, ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს, ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“.

ა. მთავრობის წინასწარი შეპასუხება

105. მთავრობის აზრით, განმცხადებლის საჩივარი უნდა განხილულიყო რუსეთის ფედერაციის მიერ გაკეთებული დათქმის გათვალისწინებით. მით უმეტეს, რომ დათქმა გამოსაყენებელი იყო არა მხოლოდ წინასწარი გამოძიების, არამედ სასამართლო განხილვის პერიოდთან დაკავშირებით. მთავრობამ გააკეთა მითითება, როგორც დათქმის ტექსტზე, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ქვემოთ მოყვანილ დებულებებზე. კერძოდ, კოდექსის მე-11, 89-ე, 92-ე და 101-ე მუხლებზე (იხ. §89, ზემოთ), რომლებიც სასამართლოებს წინასწარი პატიმრობის სტადიაზე პრევენციული საპატიმრო ღონისძიებების გამოყენების უფლებას აძლევდნენ.

106. განმცხადებლის აზრით, რადგანაც რუსეთის ფედერაციის დათქმა არ იყო დაკავშირებული წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასთან, იგი არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო მის საქმესთან დაკავშირებით. ამის სანაცვლოდ, დათქმის მიზანი იყო

პროკურორისათვის მიეცა წინასწარი პატიმრობის მოთხოვნისა და საჭიროების შემთხვევაში მისი გახანგრძლივების მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა.

107. სასამართლო აღნიშნავს, რომ დათქმის მიზანს წარმოადგენს კონვენციის მე-5 (3) მუხლის მოქმედების დროებითი გამორიცხვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც ეხება დაკავების პროცედურას, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებით. მოცემული დებულებები აყალიბებს იმ პირობებს, რომელთა არსებობის დროსაც დასაშვებია აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენება, მათ შორის, პატიმრობის სახით. ასევე, მითითებულია იმ კომპეტენტური სახელისუფლებო ორგანოების ჩამონათვალი, რომელთაც პატიმრობის გამოყენების უფლებამოსილება გააჩნიათ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ დათქმა ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, წინასწარი პატიმრობა კომპეტენტური პროკურორის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოყენებული იყოს 18 თვემდე ვადით.

მიუხედავად იმისა, რომ დათქმა ეხება წინასწარი პატიმრობის ვადებს, სასამართლოს აზრით, იგი ასევე არეგულირებს აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენების პროცედურას მაშინ, როცა განმცხადებლის საჩივარი უკავშირდება პატიმრობის ვადას და არა მის კანონიერებას.

108. შედეგად სასამართლო ადგენს, რომ დათქმა არ უნდა იქნეს გამოყენებული მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.

ბ. საჩივრის არსებითი მხარე

1. პერიოდი, რომელიც მხედველობაში უნდა მიიღონ

109. სადავოს არ წარმოადგენს ის, რომ მხედველობაში მისაღები პერიოდი იწყება 1995 წლის 29 ივნისიდან, როდესაც მოხდა განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში განთავსება. რაც შეეხება სადავო პერიოდის დასასრულს, განმცხადებლის აზრით, შესაბამის თარიღად უნდა მიჩნეულიყო 2000 წლის 31 მარტი, როდესაც მაგაღანის საქალაქო სასამართლომ საქმესთან დაკავშირებით მიიღო მეორე გადაწყვეტილება. მთავრობის აზრით კი, სადავო ვადა მთავრდებოდა 1999 წლის 3 აგვისტოს, როდესაც საქალაქო სასამართლომ გამოიტანა პირველი გადაწყვეტილება. მთავრობა ასევე აცხადებდა, რომ სადავო საკითხის ათვლა უნდა მომხდარიყო 1998 წლის 5 მაისიდან, როდესაც კონვენცია ძალაში შევიდა რუსეთის ფედერაციისათვის, 1999 წლის 3 აგვისტომდე.

110. სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 (3) მუხლიდან გამომდინარე წინასწარი პატიმრობის ვადის ათვლა იწყება პირის დაკავების მომენტიდან და მთავრდება ბრალეულობის საკითხის განსაზღვრის მომენტში, თუნდაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ (იხ. *Wemhoff v. Germany* judgment of 27 June 1968, სერია ა, № 7, გვ. 23, §9, და *Labita v. Italy*, §147). შესაბამისად, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა, მოცემულ საქმეში, იწყება მისი დაპატიმრების დღიდან, 1995 წლის 29 ივნისიდან და მთავრდება 1999 წლის 3 აგვისტოს. ამის შემდეგ, განმცხადებელი იხდიდა სასჯელს კონვენციის მე-5 (1) (ა) მუხლის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის საერთო ვადა არის ოთხი წელი, ერთი თვე და ოთხი დღე.

111. რამდენადაც 1998 წლის 5 მაისამდე არსებული პერიოდი ხედება 'ratione temporis' იურისდიქციის მიღმა, სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ ამის შემდგომ პერიოდზე, რაც არის ერთი წელი, ორი თვე და ოცდარვა დღე. ეს წარმოადგენს პერიოდს 1998 წლის 5 მაისიდან 1999 წლის 3 აგვისტომდე, როდესაც მაგადანის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, თუმცა სასამართლო მხედველობაში მიიღებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი 1998 წლის ხუთი მაისისათვის უკვე იმყოფებოდა პატიმრობაში ორი წლის, ათი თვისა და ექვსი დღის განმავლობაში (იხ. მაგალითად: mutatis mutandis, the Mansur v. Turkey judgment of 8 June 1995, სერია ა, №319-ბ, გვ. 49, §51).

2. პატიმრობის პერიოდის გონივრულობის საკითხი

ა) მხარეთა პოზიციები

112. განმცხადებლის მიხედვით, არ არსებობდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა, რადგან ვერ დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ იგი ხელს შეუშლიდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. საფუძვლები, რომლებსაც ხელისუფლება იხმობდა მისი პატიმრობის გასამართლებლად, არ იყო რელევანტური და საკმარისად დასაბუთებული. იგი ასევე აცხადებდა, რომ მისი საქმე არ იყო განსაკუთრებით რთული, როგორც ეს დადგინდა 1999 წლის 15 მარტს. მისი საქმის ცხრა საქალაქიდან სამი მთლიანად დაკავშირებული იყო მის მიერ ხელისუფლების ორგანოებისადმი გაგზავნილ საჩივრებთან. გამოძიებისას დაიკითხა 29 მოწმე. გარდა ამისა, საქმეში იყო სამი სამოქალაქო მოსარჩელე. ბოლოს, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა პროცედურა არასაკმარისი ყურადღებით წარმართეს. მისი ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობა განპირობებული იყო გამოძიების ცუდი ხარისხით. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელი მოიხმობს მაგადანის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებას (§80).

113. მთავრობის მითითებით, განმცხადებელი დააპატიმრეს იმის გამო, რომ არსებობდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის რეალური საფრთხე, რამაც განაპირობა ხანგრძლივი პატიმრობა საქმის კომპლექსურობასთან (9 საქალაქი) და დასაკითხი მოწმეების რაოდენობასთან ერთად.

ბ) სასამართლოს შეფასება

1) სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპები

114. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინასწარი პატიმრობის საკითხი განცალკევებით არ უნდა განიხილებოდეს. ის, თუ რამდენად გონივრულია ბრალდებულის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენება, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის სპეციფიურ გარემოებებზე. მოცემულ საქმეში განგრძობადი წინასწარი პატიმრობა შეიძლება გამართლებულ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესის არსებობით გონივრულ ფარგლებში, რომელიც გადასწონის უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპსა და კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას (იხ. Kudla v. Poland). ბრალდებული პირის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის გონივრულობის საკითხის განსაზღვრა, პირველ რიგში, ეროვნული სასამართლო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით, ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით, დეტალურად შეისწავლონ როგორც საზოგადოებრივი ინტერესის ხეშემთხვევითი მოთხოვნის მხარდამჭერი ფაქტები, ისე საპირისპირო ფაქტები, რაც გათავისუფლების, ან დაპატიმრების ბრძანებაში კონკრეტულად უნდა

იყოს გაწერილი. უმთავრესად იმ მიზეზთა საფუძველზე, რომლებიც მოცემულია ამ გადაწყვეტილებებში, და იმ სამართლიანი ფაქტების საფუძველზე, რომლებიც მოხსენიებულია განმცხადებლის მიერ თავის საჩივრებში, ხდება ის, რომ სასამართლო მოწოდებულია გადაწყვიტოს, ჰქონდა, თუ არა ადგილი კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას (იხ. *Labita v. Italy*, §152).

გონივრული ეჭვის არსებობა იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, განგრძობადი პატიმრობის გამართლების მიზნით, წარმოადგენს *sine qua non* პირობას, თუმცა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მოცემული ფაქტორი ნაკლებად რელევანტური შეიძლება გახდეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს, არსებობდა, თუ არა სხვა გარემოებები, რომლებიც ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს განგრძობადი პატიმრობის გამართლებელ გარემოებებად. როდესაც მოცემული დამატებითი გარემოებები მიიჩნევა რელევანტურად და საკმარისად, სასამართლო იკვლევს, რამდენად იქნა ეროვნული სასამართლოების მიერ სამართალწარმოების პროცედურები დაცული. საქმის კომპლექსურობა და სპეციფიური მახასიათებლები არის დამატებითი ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნენ მიღებულნი (იხ. მაგალითად, *Scott v. Spain* judgment of 18 December 1996, Reports 1996 VI, გვ. 2399-2400, §74; *L. v. France* judgment of 23 September 1998, Reports 1998-VII, გვ. 2978, §102).

2) მოცემულ საქმეში ზემოთ აღნიშნული პრინციპების გამოყენება

ა) პატიმრობის საფუძვლები

115. იმ პერიოდზე, რომელზეც ვრცელდება სასამართლოს იურისდიქცია „რატიონე ტემპორის“ მაგადანის საქალაქო სასამართლომ განმცხადებლის გათავისუფლებაზე უარი დააფუძნა მისთვის წაყენებული ბრალდების სიმძიმეზე და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეზე (იხ. §69, ზემოთ). სასამართლო აღნიშნავს, რომ ანალოგიური არგუმენტაცია იყო გამოყენებული საქალაქო სასამართლოს მიერ 1996 წლის 27 დეკემბერსა და 1997 წლის 8 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილებებში.

სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ 1995 წლის 29 ივნისს მიღებული პირველი გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებელს შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ იგი ცდილობდა ხელი შეეშალა ჭეშმარიტების დადგენისათვის საქმეზე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების განადგურების და მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის გზით. წაყენებული ბრალდების სიმძიმე კიდევ ერთი ფაქტორი იყო, რომელიც სასამართლომ გაითვალისწინა.

116. სასამართლო მიაჩნებს, რომ პირის მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საფუძვლიანი ეჭვი, მიუხედავად მისი რელევანტურობისა, არ შეიძლება იყოს ერთადერთი ფაქტორი, რომელიც გაამართლებს წინასწარი პატიმრობის გამოყენებას (იხ. *Scott v. Spain* judgment cited above, გვ. 2401, §78). რაც შეეხება მაგადანის საქალაქო სასამართლოს არგუმენტაციას, რომელიც გამოყენებულ იქნა განგრძობადი პატიმრობის გასამართლებლად, კერძოდ, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლა, სასამართლო აღნიშნავს, რომ 1995 წლის 29 ივნისის გამოძიებლის ბრძანებისაგან განსხვავებით, სასამართლოს მის დასკვნაში არ მოუხმია ფაქტობრივი გარემოებები და მოცემული დასკვნები ერთმანეთის იდენტური იყო 1996, 1997, 1999 წლებში. არ არსებობს კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც დაადასტურებდნენ რეალურ რისკს აღნიშნულ საფუძველთან მიმართებით.

117. სასამართლო იღებს იმ არგუმენტს, რომ გამოძიებისათვის ხელის შეშლა იმ

დანაშაულებთან კავშირში, რომლის ჩადენაშიც განმცხადებელს ბრალი ედება, თავისთავად შეიძლება იყოს მისი პატიმრობის გამამართლებელი, თუმცა მას შემდეგ, რაც მტკიცებულებების შეკრება და მასთან დაკავშირებული პროცედურა პრაქტიკულად დასრულდა, მოცემული არგუმენტები აღარ იყო რელევანტური.

118. ბოლოს, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ, პატიმრობის გასამართლებლად მოყვანილმა არგუმენტებმა მიუხედავად იმისა, რომ ისინი დასაწყისში საფუძვლიანი იყო, დროის გასვლასთან ერთად დაკარგა მნიშვნელობა.

ბ) პროცედურის წარმართვა

119. რაც შეეხება გამოძიების პროცედურას, სასამართლო იშველიებს ეროვნული სასამართლოს პოზიციას, რომლის თანახმადაც საქმე არ იყო განსაკუთრებული სირთულის და რომ გამოძიება იყო დაბალი ხარისხის, რამაც განაპირობა სამართალწარმოების გახანგრძლივება (იხ. §§ 69, 80, ზემოთ). სასამართლო აღნიშნულ დასკვნებს იზიარებს. დამატებით, სასამართლო მოსმენების რაოდენობა გაიზარდა გამოძიებლების მოქმედებიდან გამომდინარე (იხ. §80, ზემოთ).

120. რაც შეეხება თანმდევ სამართალწარმოებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მაგადანის საქალაქო სასამართლოში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან შეფერხებებს. მოსმენები, რომლებიც დაიწყო 1996 წლის 11 ნოემბერს, საქმის განმხილველი მოხამართლის გათავისუფლების გამო 1997 წლის 7 მაისამდე გადაიდო. სამართალწარმოების განახლება არ მომხდარა 1999 წლის 15 აპრილამდე, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროცედურული ნაბიჯები იქნა გადადგმული 1997 წლის ივლის-აგვისტოში (ახალი მოსამართლის დანიშვნა და სასამართლო მოსმენის თარიღის განსაზღვრა), 1998 წლის მაისსა და ივლისში (საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემა), 1998 წლის ნოემბერში (ახალი მოსმენის დანიშვნა) და 1998 წლის მარტში (გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით დამატებითი გამოძიების ჩატარების შესახებ).

მიუხედავად იმისა, რომ 1997 წლის 8 აგვისტოს სასამართლო მოსმენის გადადება მოხდა განმცხადებლის ადვოკატის პროცესზე გამოუცხადებლობის გამო, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ვივარაუდოთ განმცხადებლის მოქმედების მიზეზით საქმის გაჭიანურების შესაძლებლობა. გამოძიების მახასიათებლებისა და სასამართლო სამართალწარმოების დროულად ვერ წარმართვის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას არ უმოქმედია სათანადო გულისხმიერებით.

გ) შეჯამება

121. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო, არ წარმოადგენს „გონივრულ ვადას“, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის დარღვევას.

III. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაძლო დარღვევის საკითხი

122. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების განსაზღვრა არ მომხდარა გონივრულ პერიოდში, როგორც ეს მოთხოვნილია კონვენციის მე-6 (1) მუხლით, რომლის მიხედვით:

„ყველას, ვისაც წაყენებული აქვს... სისხლის სამართლის ბრალდება, უფლება აქვს მისი საქმე გონივრულ ვადაში იყოს განხილული კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო ორგანოს მიერ...“

ა. პერიოდი რომელიც მხედველობაში უნდა მიიღონ

123. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ პერიოდი, რომელიც მხედველობაში უნდა მიღებულიყო, იწყებოდა 1995 წლის 8 თებერვალს, მის წინააღმდეგ სისხლის-სამართლებრივი სამართალწარმოების წამოწყების შემდეგ და მთავრდებოდა 2000 წლის 31 მარტს, როდესაც მაგადანის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა მისი მეორე გადაწყვეტილება. სახემწიფოს აზრით კი, პერიოდი რომელიც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მისაღები, იწყებოდა, 1996 წლის 6 თებერვალს, როდესაც საქმე გადაეცა მაგადანის საქალაქო სასამართლოს და სრულდებოდა 1999 წლის 3 აგვისტოს, როდესაც ამავე სასამართლომ გამოიტანა მისი პირველი გადაწყვეტილება.

124. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხედველობაში მისაღები პერიოდის ათვლა უნდა დაიწყოს ბრალის წაყენების მომენტიდან, ტერმინ „ბრალისათვის“ ავტონომიური მნიშვნელობის მინიჭების გათვალისწინებით (იხ. *Corigliano v. Italy* judgment of 10 December 1982, სერია ა, № 57, გვ. 13, §34; *the Imbrioscia v. Switzerland* judgment of 24 November 1993, სერია ა, №275, გვ. 13, §36). აღნიშნული დროის შეწყვეტა ხდება იმ მომენტში, როდესაც საბოლოოდ ხდება ბრალის გარკვევა და წყდება სამართალწარმოება.

შესაბამისად, მოცემულ საქმეში მხედველობაში მისაღები პერიოდი იწყება 1995 წლის 8 თებერვალს, როდესაც განმცხადებელს ბრალი წაყენა სხვისი ქონების მითვისებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მხედველობაში მისაღები პერიოდის დასასრულს, სასამართლო აღნიშნავს, რომ დარჩენილ ბრალდებებთან დაკავშირებით, სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საქალაქო სასამართლოს მიერ 1999 წლის 3 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილებას თან ახლდა იმავე საფუძვლებზე ახალი ბრალდების წარდგენა 1999 წლის 30 სექტემბერს. შესაბამისად, მხედველობაში მისაღები პერიოდის დასასრულად მიჩნეულ უნდა იქნეს 2000 წლის 31 მარტი, როდესაც საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საბოლოო ბრალდებასთან დაკავშირებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხედველობაში მისაღები პერიოდი უნდა იყოს 1995 წლის 8 თებერვლიდან 2000 წლის 31 მარტამდე, ანუ 5 წელი, 1 თვე და 23 დღე. იმდენად, რამდენადაც *ratione temporis* იურიდიქციის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო იურიდიქცია ვრცელდება მხოლოდ იმ პერიოდზე, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიმართ 1998 წლის 5 მაისს კონვენციის ძალაში შესვლას უკავშირდება, სასამართლო მხოლოდ აღნიშნული თარიღის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით იმსჯელებს (იხ. *mutatis mutandis*, *Yagci and Sargin v. Turkey* judgment of 8 June 1995, სერია ა, №319-ა, გვ. 16, §40).

ბ. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის საკითხი

125. სასამართლოს აზრით, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის საკითხის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. ამას გარდა, სასამართლო პრეცედენტული სამართლის თანახმად, მხედველობაშია მისაღები ისეთი საკითხები, როგორიცაა: საქმის სირთულე, განმცხადებლის ქცევა და კომპეტენტური სახელმწიფო უწყებების მოქმედება (იხ. *Kudla v. Poland*, §124).

1. მხარეთა პოზიციები

126. რაც შეეხება საქმის სირთულეს, განმცხადებელმა აპელირება გააკეთა მაგადანის საქალაქო სასამართლოს მიერ 1999 წლის 15 მარტს გაკეთებულ შეფასებაზე, რომლის მიხედვითაც, მისი საქმე არ განეკუთვნებოდა განსაკუთრებულად რთული საქმეების კატეგორიას. შესაბამისად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გასამართლებლად არ შეიძლება მოყვანილ იქნეს საქმის სირთულე.

რაც შეეხება განმცხადებლის ქცევას, მან აღნიშნა, რომ მისი მოქმედება მიმართული იყო მხოლოდ საქმის განხილვის დასაჩქარებლად. გარდა ამისა, კონვენციის მე-6 მუხლი მას სასამართლო ორგანოებთან აქტიურ თანამშრომლობას არ ავალდებულებდა. არც მისი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების არაერთგზისი მცდელობის მის წინააღმდეგ გამოყენება წარმოადგენს დასაშვებ ფაქტორს.

რაც შეეხება სახელისუფლებო ორგანოების მოქმედებას, განმცხადებელმა მიუთითა წინასწარი გამოძიების ცუდ ხარისხზე, რომელიც დაადგინა მაგადანის საქალაქო სასამართლომ 1999 წლის 3 აგვისტოს. თავის მხრივ, საქმის განმხილველმა სასამართლომ დაარღვია ეროვნული კანონმდებლობის ის დებულებები, რომლებიც ეხება საქმის განხილვის პროცედურას, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-1 და 239-ე მუხლები. მოხდა იმის ხაზგასმაც, რომ სამართალწარმოებისას დაიკითხა მხოლოდ 9 მოწმე.

127. მთავრობამ ასევე აღიარა, რომ საქმე განიხილებოდა დიდი ხნის განმავლობაში, თუმცა განხილვის ვადა არ არღვევდა გონივრული ვადის მოთხოვნას. მათი აზრით, საქმის დიდ დროში განხილვა განპირობებული იყო საქმის სირთულით და მოცულობით, ასევე საქმის სრულფასოვნად შესწავლის საჭიროებით.

დამატებით, განმცხადებელმა საკუთარი ქცევით, კერძოდ, მრავალრიცხოვანი საჩივრების გაკეთების გზით, რომელიც ერთსა და იმავე საკითხს ეხებოდა, დიდად შეუწყო ხელი სამართალწარმოების გახანგრძლივებას. განმცხადებლის შუამდგომლობებმა, რომლებიც მისი საქმის სხვა სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემას ეხებოდა, ასევე განაპირობა სამართალწარმოების გაჭიანურება. აღინიშნა, რომ განმცხადებლის საქმის 30% სწორედ აღნიშნულ საჩივრებს ეკავა. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო განმცხადებლის პატიმრობის შემდგომი სასჯელი. ბოლოს, მთავრობამ განაცხადა, რომ მათ მიერ განმცხადებლის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულება გამომჟღავნდა, რაც გამოიხატა ამნისტიის შედეგად განმცხადებლის სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლებაში, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მოუხდენია ბანკისა და მისი კრედიტორებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2. სასამართლოს შეფასება

ა) საქმის კომპლექსურობის საკითხი

128. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ წამოწყებული სამართალწარმოება ეხებოდა ფინანსურ დანაშაულებს, რომლებიც ეფუძნებოდა გარკვეულ მტკიცებულებებს. ამასთან, საჭირო იყო მოწმეთა დაკითხვა, თუმცა 1997 წლის 7 მაისიდან, როდესაც მოხდა სასამართლო მოსმენების გადადება, 1999 წლის 15 აპრილამდე, როდესაც სამართალწარმოება განახლდა, პრაქტიკულად საგამოძიებო მოქმედებები არ განხორციელებულა.

სასამართლო კვლავ მოუხმობს ეროვნული სასამართლოს მიერ დაფიქსირებულ პოზიციას, რომლის მიხედვითაც, საქმე არ იყო ისეთი სირთულის, რომ ამის გამო გამართლებულიყო განხილვის გაჭიანურება.

შესაბამისად, საქმის კომპლექსურობა, ისევე როგორც გამოძიების საჭიროება, არ არის ფაქტორი, რომელმაც განაპირობა საქმის განხილვის გაჭიანურება.

ბ) განმცხადებლის ქცევა

129. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა მისი საქმის განხილვის პერიოდში ხელისუფლების მისამართით არაერთი თხოვნა გააგზავნა. ამასთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე განმცხადებელი არაა

ვალდებული აქტიურად ითანამშრომლოს სასამართლო ხელისუფლებასთან (იხ. the Dobbertin v. France judgment of 25 February 1993, სერია ა, №256-დ, გვ. 117, §43).

სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ გაკეთებული საჩივრები ეროვნული სასამართლოების მიერ მიწვეულ იქნა ფაქტორად, რომელმაც გავლენა იქონია საქმის დროულად განხილვაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ გაკეთებული საჩივრები ძირითადად მისი საქმის განხილვის გაჭიანურებას ეხებოდა. სასამართლო არ მიიჩნევს, რომ აღნიშნულმა საჩივრებმა ხელი შეუშალეს საქმის დროულად განხილვას, მით უმეტეს, რომ ყველა ეს საჩივარი რეაგირების გარეშე დატოვეს.

სასამართლო მიაჩნებს, რომ 1997 წლის 8 აგვისტოს სასამართლო მოსმენა გადაიდო განმცხადებლის ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო.

130. სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის ქცევა შეიძლება ნაწილობრივ ხელის შემშლელი იყო სასამართლო განხილვის წარმართვისათვის, იგი არ შეიძლება ცნობილ იქნეს პასუხისმგებლად სამართალწარმოების გაჭიანურებისათვის.

გ) ეროვნული ორგანოების ქცევა

131. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეროვნულ დონეზე სამართალწარმოება მნიშვნელოვანი შეფერხებებით წარიმართა, რაც არ შეიძლება აიხსნას განმცხადებლის ქცევით, ან საქმის სირთულით. საქმე პრაქტიკულად ხელშეუხებელი იყო 1997 წლის 7 მაისიდან 1999 წლის 15 აპრილამდე.

132. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების მთლიან პერიოდში განმცხადებელი იმყოფებოდა პატიმრობაში. ეს არის ფაქტი, რომელიც ეროვნული სასამართლოების მიერ პირველ რიგში უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული.

133. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ 1999 წლის 3 აგვისტოს მაგადანის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, 1999 წლის 29 სექტემბერს ხელისუფლებამ განმცხადებელს ახალი ბრალდება წაუყენა, რამაც თავისთავად საქმის კიდევ უფრო გახანგრძლივება განაპირობა.

134. შედეგად სახელისუფლო ორგანოებმა ვერ შეძლეს სათანადო გულისხმიერებით განმცხადებლის საქმის განხილვა, მათ შორის, 1998 წლის 5 მაისს კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

3. შეჯამება

135. ზემოთ მოცემული მიმოხილვის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულ დონეზე განხორციელებული სამართალწარმოება ვერ აკმაყოფილებს „გონივრული ვადის“ მოთხოვნას. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

136. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის

მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

ა. მატერიალური ზარალი

137. განმცხადებელმა მოითხოვა შემდეგი მატერიალური ზარალის ანაზღაურება:

1) 130 599,00 აშშ დოლარი ჩრდილო-აღმოსავლური კომერციული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობისათვის 1995 წლის ივლისიდან 2000 წლის 20 აპრილამდე განაცდური ხელფასის სახით;

2) 203 000,00 აშშ დოლარი სხვა კომპანიიდან მისაღები განაცდური ხელფასისათვის, რომელმაც იგი გაათავისუფლა დაპატიმრების გამო;

3) 500 000,00 აშშ დოლარი მისი კომპანიის მიერ მის დაპატიმრების შედეგად დაკარგული ქონების გამო;

4) 8 600,00 აშშ დოლარი, მისი კუთვნილი ავტომობილის დაკარგვის გამო;

5) 11 734 226,00 მისი წილების დაკარგვის გამო, რომლის გასხვისებაც მან ვერ მოახერხა საბაზრო ფასების შესაბამისად;

6) 436 226,00 აშშ დოლარი 1997 წელს ერთ-ერთი ქარხანის გაბანკოტების შედეგად, რომელშიც იგი წილს ფლობდა, ქონების დაკარგვის გამო;

მის მიერ მოთხოვნილმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა 13 012 702,00 აშშ დოლარი.

138. მთავრობამ აღნიშნული მოთხოვნა უარყო.

139. სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი 41-ე მუხლის შესაბამისად, მხარეს აუნაზღაურებს მატერიალურ ზარალს, თუ დაადგენს, რომ ეს ზარალი განპირობებული იყო კონვენციის დარღვევის შედეგად, რაც სასამართლომ დააფიქსირა.

რაც შეეხება (1) ნაწილში დაყენებულ მოთხოვნას, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელი მსჯავრდებულ იქნა; ამასთან მისი წინასწარი პატიმრობის ვადა ჩაითვალა სასჯელის მოხდის საერთო ვადაში, შესაბამისად, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება მოთხოვნების დარჩენილ ნაწილს სასამართლო მიიჩნევს, რომ არ დასტურდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მის მიერ დადგენილ, კონვენციის მოთხოვნების დარღვევასა და განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ თანხას შორის.

შედეგად სასამართლო უარყოფს მოცემულ თავში დაყენებული კომპენსაციის მოთხოვნას.

ბ. არამატერიალური ზიანი

140. განმცხადებელმა მოითხოვა 9 636 000,00 ფრანგული ფრანკის ანაზღაურება მისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანისათვის.

141. სახელმწიფომ განაცხადა, რომ მოთხოვნილი თანხა გაზვიადებული იყო და დარღვევის დადგენა იქნებოდა საკმარისი მოცემული ზიანის ასანაზღაურებლად.

142. სასამართლო მიიჩნევს, რომ ხანგრძლივმა წინასწარმა პატიმრობამ და არასათანადო პირობებმა განმცხადებელზე იქონია გავლენა, რამაც, საგარეოდ, განაპირობა მისი იმედგაცრუება, გაურკვევლობა და დამცირება, რაც არ შეიძლება მხოლოდ დარღვევის დადგენით იქნეს კომპენსირებული.

143. სამართლიანობის პრინციპის დაცვით, სასამართლო განმცხადებელს აკუთვნებს 5 000,00 ევროს მისთვის მიყენებული მორალური ზიანისათვის.

გ. ხარჯები

144. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მის მიერ ეროვნულ სასამართლოებში საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები შეადგენს 40.000 აშშ დოლარს.

145. მთავრობამ აღნიშნული მოთხოვნა მიიჩნია დაუსაბუთებლად და გაზვიადებულად. შემდგომში მათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გარკვეული დოკუმენტების ავთენტურობა. მათი აზრით, არ შეიძლებოდა მომხდარიყო დაცვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რადგან განმცხადებელი ეროვნული სასამართლოების მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ.

146. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, ადასტურებს მის მიერ გაწეულ სამართლებრივ ხარჯებს, რომელიც მას გირაოს უფლების რეალიზების მცდელობაში ესაჭიროებოდა, თუმცა მან წარმოადგინა მხოლოდ ნაწილი იმ დოკუმენტებისა, რომელიც მის მიერ გაწეული ხარჯების ჭეშმარიტებას დაადასტურებდა. დამატებით, არაა აუცილებელი ხარჯების გაწევა დავუკავშიროთ კონვენციის მე-3, მე-5 (3) და 6 (1) მუხლების დარღვევის ფაქტს.

სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლო გონიერულად მიიჩნევს განმცხადებლისათვის 3 000,00 ევროს მიკუთვნებას.

დ. საურავი

147. სასამართლო მიიჩნევს, რომ საურავი განსაზღვრული უნდა იყოს ევროპული ცენტრალური ბანკის წლიური საშუალო კურსის შესაბამისად, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მესამე პარაგრაფის დარღვევას;
3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევას;
4. ადგენს:

ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, მოცემული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ სამი თვის განმავლობაში, რუსულ რუბლებში, უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხა:

- 1) 5 000,00 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;
- 2) 3 000,00 ევრო გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად;

3) ნებისმიერი მოსაკრებელი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ თანხას შეიძლება დაემატოს;

ბ) რომ მარტივი პროცენტი უნდა იქნას გადახდილი ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრული საშუალო კურსის შესაბამისად, აღნიშნულს დამატებული სამი პროცენტი.

5. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე 2002 წლის 15 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-2 მუხლის შესაბამისად.

ს. დოლე

ჟ. პ. კოსტა

რეგისტრატორი

პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე კოლეგიის ნაწილობრივ თანმხედრი აზრი.

საერთო ჯამში, მე ვეთანხმები ჩემი კოლეგების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. თუმცა გადაწყვეტილების სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით გამოვთქვა ჩემი შენიშვნები.

1. რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის მე-5 (3) (4) მუხლის მიმართ გაკეთებული დათქმა, მისი შემდგომი ცვლილების გათვალისწინებით, მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ დებულებების მოქმედების უზრუნველყოფას, რომელიც წინასწარ პატიმრობას ეხება. შესაბამისად, ჩემის აზრით, მე-5 მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხზე მსჯელობისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს აღნიშნული დათქმა.

2. რუსეთის პროცედურული კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს ორი ტიპის პატიმრობას: წინასწარი პატიმრობა გამოძიებისას (за следствием), და პატიმრობა სასამართლო განხილვის მოლოდინისას (за судом). აღნიშნული განსხვავება მოცემულია 2001 წლის 13 ივნისს მიღებულ კანონში, რომელმაც სისხლის სამართლის სამართალწარმოების ვადა შეამცირა 6 თვემდე, თუმცა გადაწყვეტილების 110-ე პარაგრაფში სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალზე მითითებით განაცხადა, რომ წინასწარი პატიმრობა მოიცავს სასამართლომდე პერიოდს, იმ დღიდან, როდესაც აღამიანი დააპატიმრეს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ყველაფრის მიუხედავად, პატიმრისათვის, რომელიც ჩაკეტილია გადატვირთულ ციხის საკანში, ნაკლები მნიშვნელობა აქვს პატიმრობის ერთიან ვადაში ჩაითვლება საგამოძიებო პატიმრობა, თუ სასამართლო განხილვის პერიოდში პატიმრობა. ისევე, როგორც იმ ფაქტს, თუ როდის შევიდა კონვენცია ძალაში მონაწილე სახელმწიფოსათვის. ეს განსხვავება მნიშვნელოვანი უნდა იყოს სასამართლოსათვის, თუ მას სურს აღიაროს სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლები წინასწარი პატიმრობის ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

განმცხადებელი საგამოძიებო წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა 1995 წლის 29 ივნისიდან (როცა მოხდა მისი დაპატიმრება) 1996 წლის 19 ივლისამდე (როდესაც მაგადანის რეგიონულმა პროკურატურამ საქმე განსახილველად გადასცა მაგადანის რაიონულ სასამართლოს), ე. ი. თერთმეტი თვე და ოცდაორი დღე, ანუ უფრო ნაკლები, ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლით განსაზღვრული თვრამეტი დღე, რის შემდეგაც პიროვნება დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. განმცხადებლის პატიმრობის ამ ნაწილთან მიმართებით სახელმწიფო უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, რამდენადაც მოცემული პერიოდი წინ უსწრებდა რუსეთის ფედერაციისათვის კონვენციის ძალაში შესვლას (შეუსაბამოა *ratione temporis* პრინციპთან).

განმცხადებლის პატიმრობა სასამართლო განხილვის მოლოდინში გრძელდებოდა 1999 წლის 3 აგვისტომდე, როდესაც მაგადანის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა მისი პირველი განაჩენი ე. ი. სამი წელი, ერთი თვე და ოცდაერთი დღე (როგორც ეს დაადგინა კიდევ სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების 110-ე პარაგრაფში). აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ განაჩენის გამოტანა გაჭიანურდა განმცხადებლის ქცევის მიზეზით, კერძოდ, იმ მიმართებების გამო, რომელთაც იგი აყენებდა სახელისუფლებო ორგანოების წინაშე, მათ შორის თხოვნით, განეხილა მისი საქმე სასამართლოს. ამას გარდა, ადვოკატთა შეცვლის ფაქტმა ისევე, როგორც მათმა გამოუცხადებლობამ, დამატებით იქონია გავლენა საქმის განხილვის დროულობაზე. აღნიშნული შეფერხება საერთო ჯამში წარმოადგენს ერთ წელსა და სამ თვეს. რასაკვირველია, ამით არ შეიძლება გამართლდეს ის პროცედურული შეფერხებები,

რომლებიც თვით სასამართლოს მიზეზით წარმოიშვა, თუმცა განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით იქმნება განსხვავებული სურათი.

საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებამ მაგადანის საქალაქო სასამართლოს მიერ 2000 წლის 31 მარტს განაჩენის გამოტანის ვადა გადასწია შვიდ თვემდე, სსკ მე-7 თავის 97-ე მუხლის შესაბამისად.

განმცხადებელმა, საერთო ჯამში, პატიმრობაში გაატარა ხუთი წელი, ერთი თვე და ოცდასამი დღე, აქედან ოთხი წელი, ცხრა თვე და ორი დღე, გატარებული იყო მაგადანის №1 საპატიმროში. მიუხედავად იმ გარემოებებისა, რომლებიც ზემოთ მივუთითეთ, აღნიშნული, კონვენციის მე-5 (3) მუხლიდან გამომდინარე, გონივრულ ვადად არ შეიძლება ჩაითვალოს. განმცხადებელმა არაერთხელ მიმართა სასამართლოებს მისი პატიმრობის კანონიერებისა და ხანგრძლივობის საკითხთან დაკავშირებით სსკ 97-ე მუხლის მიხედვით. შედეგად, მან ამოწურა ყველა ხელმისაწვდომი შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს (უფლება გონივრულ ვადაში სამართლიან სასამართლო მოსმენაზე) სასამართლომ, სამწუხაროდ, ყურადღება არ გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელმა არ გამოიყენა სააპელაციო საჩივრით მიმართვის უფლება 1999 წლის 3 აგვისტოს განაჩენთან მიმართებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, ღიად იქნა დატოვებული შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის საკითხი.

4. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევ ცალკე დავაფიქსირო ჩემი აზრი კონვენციის მე-3, მე-5(3) და მე-6(1) მუხლების დარღვევის საკითხთან დაკავშირებით. ჩემი რწმენით, გადაწყვეტილების 143-ე პარაგრაფში მოცემული სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხი სასამართლოს მიერ უნდა შეფასებულიყო ცალკეული დარღვევების შეფასებიდან გამომდინარე.

საქმეზე „კუღლა პოლონეთის წინააღმდეგ“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით:

ბ-ნ ლ. ვილდჰაბერი,
ქ-ნ ე. პალმი,
ბ-ნ ჯ-პ კოსტა,
ბ-ნ ა. პასტორ რიდრუეჯიო,
ბ-ნ გ. ბონელო,
ბ-ნ ჯ. მაკარცუიკი,
ბ-ნ პ. კურისი,
ქ-ნ ფ. ტულკენსი,
ქ-ნ ე. სტრაზნიცკა,
ბ-ნ პ. ლორენსენი,
ბ-ნ მ. ფისნბახი,
ბ-ნ ჯ. ცაკადევალი,
ქ-ნ პ. ს. გრივი,
ბ-ნ ა. ბ. ბაკა,
ქ-ნ ს. ბოტუშაროვა,
ბ-ნ მ. უგრეხელიძე,
ბ-ნ პ. ჯ. მაჰონეი, რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა რა განმარტოებით 2000 წლის 7 ივნისსა და 18 ოქტომბერს, 2000 წლის 18 ოქტომბერს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება.

პროცედურა

1. 1999 წლის 30 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (კომისია) და 1999 წლის 2 დეკემბერს პოლონეთის მოქალაქემ ანდრჟეჟ კუდლამ (განმცხადებელი) (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი, კონვენციის ყოფილი 47-ე და 48-ე მუხლები) საქმე სასამართლოს გადასცეს იმ დებულებათა შესაბამისად, რომლებიც მოქმედებდნენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის (კონვენცია) მე-11 ოქმის ძალაში შესვლის წინ.
2. საქმეს საფუძვლად უდევს 1995 წლის 12 აპრილს, კონვენციის ადრე მოქმედი 25-ე მუხლის შესაბამისად, პოლონეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, განმცხადებლის მიერ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადი (№ 30210/96).
3. კერძოდ, განმცხადებლის მტკიცებით, მან პატიმრობის პერიოდში ადექვატური ფსიქიატრიული მკურნალობა ვერ მიიღო, მისი პატიმრობა იყო დაუსაბუთებლად ხანგრძლივი, დაირღვა მისი უფლება „საქმის გონივრულ ვადაში განხილვაზე“ და მას არ გააჩნდა ეფექტური შიდა სამართლებრივი საშუალებები გაესაჩივრებინა სამართალწარმოების არაგონივრული ხანგრძლივობა.
4. კომისიამ განაცხადი 1998 წლის 20 აპრილს ნაწილობრივ დასაშვებად ცნო. 1999 წლის 26 ოქტომბრის მოხსენებაში (კონვენციის ყოფილი 31-ე მუხლი), მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის (თოთხმეტი ხმა ცამეტის